საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 20 აგვისტო. 2019 წ. №165 (8831) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია

წყალი!

საქართველო იყო და კვლავაც გახდება მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი და წარმატებული ქვეყანა!

6-7

არჩილ თალაკვაძე: ოპოზიციის ნაწილი სამარცხვინოდ იქცევა და არის ომის მომხრე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ოპონენტების განცხადებებს პასუ-ხობს. **„პირდაპირ გეტყვით, რომ ოპოზიციის ნაწილი იქცევა სამარ-ცხვინოდ და იმის ნაცვლად, რომ მათ მხარი დაუჭირონ საკუთარ ხელი-სუფლებას, საკუთარ ხალხს და სა-კუთარი ქვეყნის ინტერესებს, რომ ჩვენ ყველანი ერთად დავდგეთ ოკუ-პაციის წინააღმდეგ მშვიდობით, განვითარებით და საერთაშორისო დიპლომატიის გამოყენებით შევ-ძლოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების მშვიდობის უზრუნველყოფა და მომავალში ქვეყანას ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს, ამის ნაცვლად, ისინი არიან დაკავებული თავისი სახელმწიფოს, თავისი ხელისუფლების მისამართით ტალახის სროლით და აქ არიან ის ადამიანებიც, რომლებიც პირდაპირ ჩანს, რომ ფარისევლური დამოკიდებულება აქვთ სამშობლოს მიმართ. რა დეოკუპაციაზეა საუბარი, როდესაც ზუსტად მაგ ხალხის პოლიტიკური პროვოკაციების გამო პირიქით, ხელშეწყო-ბა ხდება ოკუპაციის, ხელშეწყობა ხდება იმის, რომ რუსეთმა თავისი პოზიციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაიძლიეროს“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ამასთან, თალაკვაძე აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ეს ნაწილი ომის მომხრეა.

„ჩვენ არ მივცემთ საშუალებას, ვინმეს, რომ თავისი პროვო-კაციული გეგმები, რომლებსაც ისინი ზოგჯერ მიმართავდნენ წინა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ეს ადამიანები, პირდაპირ გეტყვით, არიან ომის მომხრეები. ესენი არიან ადამიანები, რომ-ლებსაც სურთ ომი, რომელთაც სურთ დესტაბილიზაცია და რო-მელთაც სურთ, რომ ჩამოიშალოს ჩვენი სახელმწიფო და ამა-ზე რაღაც იხეირონ. ეს არის მათი სტრატეგია. დაფიქრდით.

მივმართავ მათ კიდევ ერთხელ, რომ ყურადღებით და პასუხის-მგებლობით მოეკიდონ სახელმწიფოს და მოქალაქეებს, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, რადგან ომი ამ ქვეყანაში არც ერთ მოქალაქეს არ სურს და საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა, რომ ომის გა-რეშე, მშვიდობით, დემოკრატიის განვითარებით, ეკონომიკის გაძლი-ერებით, საერთაშორისო დიპლომატიის გამოყენებით შექმნას ის მომავალი და ის მომენტი, როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიუ-ლი მთლიანობის აღდგენა იქნება შესაძლებელი. დღეს რეალურად, ეს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფი მოქმედებს ზუსტად ამ გეგმის საწინააღმდეგოდ. მათ აქვთ ერთადერთი მიზანი — როგორმე ძირი გამოუთხარონ საკუთარ ქვეყანას და ჩაითრიონ ის სამხედრო პრო-ვოკაციაში“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ჩიკოტელოებს მაჰათმა განდის ჩანაცვლება სურთ...

3 ანუ ბორდერიზაცია ქართულ პოლიტიკაში

4 ანაკლიის პორტი აშენდება, მაგრამ... რას იზამს „უსაქმოდ დარჩენილი“ კონსორციუმი?!

8

ლავროვი: რუსეთი მოლდოვას შემადგენლობაში დნესტრის-პირეთის დაბრუნების მომხრეა

საპენსიო სააგენტო გვაფრთხილებს!

საპენსიო სააგენტო მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწო-დებს. სააგენტოში განმარტავენ, რომ სოციალურ ქსელში გამოჩნ-და კიბერთაღლითების მიერ შექმნილი ყალბი ვებ-გვერდები, რო-მელსაც საპენსიო სააგენტოსთან არანაირი კავშირი არა აქვს.

„ვებ-გვერდზე მომხმარებლებს საბანკო ბარათის მონაცემების შეყ-ვანას თხოვენ. ყალბი ვებ-გვერდები უკანონოდ იყენებენ საპენსიო სა-აგენტოს სიმბოლიკას. თაღლითური სქემის შესახებ საპენსიო სააგენტომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მიმდინარეობს გამოძიება. სა-პენსიო სააგენტო მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს და გან-მარტავს, რომ სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართია pensions.ge, სადაც საბანკო მონაცემების შეყვანა არ არის გათვალის-წინებული. საპენსიო ანგარიშის შესამოწმებლად საჭიროა მხოლოდ პირადი ნომერი და დამსაქმებლის მიერ მოწოდებული საწყისი ერთ-ჯერადი პაროლი, თუ სისტემაში პირველად შედიხართ, ან თქვენი პი-რადი პაროლი“, — განმარტავენ სააგენტოში.

დავით ზალკალიანი ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს ესაუბრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა სოფელ გუგუტიანთკარში საოკუპაციო ძალების მხრიდან ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესის გაგრძელების საკითხზე საგანგებო ვითარებაში გამართა სატელეფონო საუბარი ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან – სლოვაკეთის საგარეო და ევროპის საქმეთა მინისტრთან მიროსლავ ლაიჩეკთან. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, დავით ზალკალიანმა ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საოკუპაციო ხაზზე გახშირებული პროვოკაციების შესახებ. სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სრულ სურათს ფლობს სოფელ გუგუტიანთკარში ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესისა და საქართველოს რვა მოქალაქის გატაცების შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მიროსლავ ლაიჩეკს თხოვნით მიმართა, რომ ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ აამოქმედოს ყველა საერთაშორისო ბერკეტი, რათა შესაძლებელი გახდეს საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესის შეჩერება და გატაცებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ დაბრუნება საკუთარ ოჯახებში.

გორის მერი გუგუტიანთკარში ჩავიდა

ჩემთვის ძალიან რთული იყო ემოციურად ამ სიტუაციის ყურება, როდესაც ჩვენს მიწაზე იმყოფებიან და ღობავენ, – ამის შესახებ შვებულებიდან დაბრუნებულმა გორის მერმა, კონსტანტინე თავზარაშვილმა სოფელ გუგუტიანთკარში ჟურნალისტებს განუცხადა.

„მე მათთან მივედი, დაველაპარაკე, რომ ეს არის უკანონობა, მაგრამ ამაზე მათ პასუხი არ გამცეს, პირიქით, ზურგი შემაქციეს. ერთი ის თქვეს, რომ ჩვენ ბრძანებას ვასრულებთო. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა შეჩერდეს და აღარ გაგრძელდეს ასეთი უკანონო ბორდერიზაცია. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე აღებული იქნება მავთულხლართები და გათავისუფლებული იქნება ეს ტერიტორია“, – განაცხადა კონსტანტინე თავზარაშვილმა.

გორის მერის ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა უთხრეს, რომ წყლის რეზერვუარს საოკუპაციო ზოლში არ მოაქცევენ და მოსახლეობა სარწყავი წყლის გარეშე არ დარჩება. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიას გორის მერის მიმართ, რომელმაც შექმნილი ვითარების მიუხედავად გონიოში შვებულება არ შეწყვიტა, კონსტანტინე თავზარაშვილმა განმარტა, რომ ზღვაზე დასვენების პარალელურად თანამშრომლებისგან მუდმივად იღებდა ინფორმაციას გუგუტიანთკარში მიმდინარე პროცესებზე. საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გუგუტიანთკარში ღობეების აღმართვა გუშინ განაახლეს.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ღობეების აღმართვა შეჩერებული იყო. რამდენიმე დღის წინ, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა საოკუპაციო ხაზთან, სოფელ გუგუტიანთკარსა და ოკუპირებულ სოფელ დისევს შორის რკინის ბოძები დაამონტაჟეს და ღობე გაავლეს. ღობის მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ორი საცხოვრებელი სახლი.

გმადლობთ, ბარბარე ბენაშვილო!

ორი დღეა, სოციალურ ქსელში დაიდო „რადიო-1“-ის რედაქტორის, გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულების გადაცემების წამყვანის **ბარბარე ბენაშვილის** პოსტი, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

„შემიძლია გუგუტიანთკარის მოსახლეს მივცე ჩემი ორსართულიანი სახლი დედოფლისწყაროში, ავეჯის ნაწილით, რაც გადაურჩა 2010 წელს ქურდებს... წამოვიღებ მხოლოდ წიგნებს. ოღონდ ერთს ვითხოვ: წელიწადში რამდენჯერმე ჩავიდე სტუმრად!

ამით შემიძლია დავეხმარო ჩემთვის ძალიან საყვარელი რეგიონის შეესანიშნავ ადამიანებს! სახლი მდებარეობს დედოფლისწყაროს ცენტრში, გაშენებული ხილით და პატარა ბოსტნით. ოღონდაც კარ-მიდამოს ხელის შევლება დასჭირდება და მაგაშიც მივეხმარები...“

რედაქცია მადლობას უხდის ქველმოქმედ ბარბარე ბენაშვილს!

ჰოლივუდი უკვე „აწარმოებს“ საქართველოში!

საბაგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელი მიხეილ ხიდურელი სოციალურ ქსელში საქართველოში „ფორსაჟი 9“-ის გადაღებების მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი თქმით, მიდის მოლაპარაკებები სხვა მასშტაბურ ჰოლივუდურ პროექტებზეც.

„ვულოცავ ყველას – ჰოლივუდი უკვე აწარმოებს საქართველოში!

ბევრი აზრი გაჩნდა, მათ შორის რამდენიმე სკეპტიკური, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყველამ იცოდეს, რას ნიშნავს ეს ჩვენი ქვეყნისთვის:

პირველ რიგში, ეს არის ქვეყანაში დახარჯული 32 მილიონ ლარზე მეტი – ადგილობრივი სერვისების შეძენა, აღჭურვილობის დაქირავება, სასტუმროს ხარჯები, ხელფასები ადგილობრივად დასაქმებულებს, ტრანსპორტის დაქირავება, ბაზირება („ექსპო ჯორჯია“ აქვთ აღებული ხუთი კვირით);

მეორე, ეს არის ყველაზე ეფექტური მარკეტინგული აქტივობა ქვეყნის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვისთვის, ვიღებთ ქვეყნის Placement-ს მსოფლიო ბლოგბასტერში უფასოდ.

მესამე, ამ მასშტაბის ფილმის ქვეყანაში გადაღება ნიშნავს იმას, რომ ჰოლივუდმა, როგორც ინდუსტრიამ, საქართველოს აუნთო მწვანე შუქი. ჩვენზე უკვე სხვა სტუდიოები ლაპარაკობენ, შეუქცევადი პროცესი დაიწყო, რაც ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტი პროექტი შემოვა.

რაც შეეხება cash rebate-ს, ჩვენი პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ თანახმად, დახარჯული, კვალიფიციური თანხის 20-25 პროცენტი კინომწარმოებელ კომპანიას უბრუნდება უკან და რეალურად გადასახადის დაქვითვის ხარჯზე ხდება. ეს არის ძალიან კარგად აპრობირებული მექანიზმი და ბევრ ქვეყანაში უკვე იქცა კიდეც ეკონომიკის წამყვან ინდუსტრიად. აღარაფერს ვამბობ იმ უდიდეს გამოცდილებაზე, რასაც ქართული კინოინდუსტრიის წარმომადგენლები მიიღებენ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის შედეგად. მიდის მოლაპარაკებები სხვა მასშტაბურ ჰოლივუდურ პროექტებზე“, – წერს მიხეილ ხიდურელი „ფეისბუქში“.

ილია მეორე:

...საჭიროა დიდი ყურადღება, რომ მიწიერმა, ხორციელმა არ გაიტაცოს ადამიანი

დღეს, როცა ასეთი ცვლილებებია ადამიანის სულში, ბუნებასა და გონებაში, საჭიროა დიდი ყურადღება, რომ მიწიერმა, ხორციელმა არ გაიტაცოს ადამიანი, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით განაცხადა.

„ჩვენ დღეს ვფიქრობთ, რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ფერისცვალება მოხდეს ჩვენში. ერთ მდგომარეობაში არაფერი ჩერდება, ყველაფერი მოძრაობს, იცვლება. ძველი რომაელები ამბობდნენ, დრონი იცვლებიან და ჩვენ ვიცვლებით მასთან ერთადო. დღეს, როცა ასეთი ცვლილებებია ადამიანის სულში, ბუნებაში, გონებაში, საჭიროა დიდი ყურადღება, რომ მიწიერმა, ხორციელმა არ გაიტაცოს ადამიანი. ადამიანი ან მაღლა ადის სრულყოფის კიბეზე ან დაბლა ჩადის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ავიდეთ მაღლა და შევხვდეთ უფალს. წყალობა ღვთისა, ნათელი ღვთისა, მადლი ღვთისა გფარავდეთ თქვენ და საქართველოს“, – განაცხადა პატრიარქმა.

ქამთასვლა ვერ გაბერებთ!

ბატონო რედაქტორო, მიმდინარე წლის 25 ივლისს მკითხველთ ამცნეთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ მეორე საუკუნეში გადადგა. თქვენ 101 წლის ხართ!

გილოცავთ!

„საქართველოს რესპუბლიკა“ დღითი დღე სრულყოფილი ხდება, სახელს იხვეჭს, ეროვნულ ფესვებზეა აღზრდილი, სახიერებაც ხომ ლამაზია, ჟამთა სვლამ ვერ ჩამოაბერა , ნირი ვერ შეუცვალა, გაზეთის სულისკვეთებაც იგივე დარჩა.

ამ ღრმად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის ფონზე გისურვებთ ერთგულ მკითხველთა და კეთილისმყოფელთა გამრავლებას! არ შედრკეთ! გული არ გაიტეხოთ! შეჭირვებულთათვის საშვილად ხელის გაწვდენა – ეს ჩვენი ქართველთა ხმაა!

საქართველოს ისტორიამ ქველმოქმედთა კეთილი ნებით ნაკეთები ბევრი საშვილიშვილო საქმეიცის, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სპეტაკი სულები.

სიკეთე მოვა, ღრმად მწამს!
ქველმოქმედი მოვა, მკითხველი მოიყვანს მას!
თქვენ მართალ ნათელ კვალზე დგახართ!
უზენაესმა გამარჯვების გზით გატაროთ!
ამინ!

შუამთის ეროვნული საძმო-სამეგობროს სახელით

ლამარა იანვარაშვილი,

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიების ლაურეატი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. თელავი.

ჩიკოტელოებს მაჰათმა განდის ჩანაცვლება სურთ...

ანუ ბორდერიზაცია ქართულ პოლიტიკაში

ბორდერიზაცია – საზღვრის უკანონო გადაკვეთა.

დავიწყებ ამ დღეებში „საზღვრის“ გადმოწევის ფაქტებით. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს ძალადობა სწორედაც რომ რუსეთის თანაოკუპანტების, ბოკერია-სააკაშვილის მიერ 2008 წელს განხორციელებული ღალატის შედეგად ხელმოწერილი დოკუმენტის გამო ხორციელდება.

გთავაზობთ ჩემი მეგობრის, სამოქალაქო აქტივისტის მანჩო გიორგობიანის ფეისბუქ-პოსტს: მიჰა საკაშვილი, თავის ნაც-სახლისტეთიანად, სამშობლოს გამყიდველები... კარგად ნახეთ, ვინ გაუფართოვა „საზღვრები“ ე.წ. სამხრეთ ოსეთს და საიდან წარმოიშვა „მცოცავი ოკუპაცია“...

რა ვქნათ ახლა, როდემდე ვიმკითხაოთ, რეალტიული გიჟია, თუ პუტინის დავალებებს ასრულებდა?! ან ამ დედააფეთქებულებზე რა ვთქვა, „გიგა ბოკერია ჭკვიანი და განათლებული ბიჭია“, „ადეიშვილი – კარგი მენეჯერი“, „უგულავა – თბილისელი“?!.. სადაც გადამეყრებიან, თვალს მომერიდონ, ვურჩევ! არ დავინდობ!!!

„პარლამენტმა მხარი დაუჭირა ცხინვალის რეგიონში დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას.

„სივილ ჯორჯია“, თბილისი/8 მაისი/ 2007.

პარლამენტმა 149 ხმით 4-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის თაობაზე.

უმრავლესობის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება „ლოგიკური გაგრძელებაა“ 13 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონისა და რეგიონის ალტერნატიულ ლიდერთან დიმიტრი სანაკოევთან ყველა საპარლამენტო ძალის მიერ გამართული კონსულტაციებისა.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანის დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, დადგენილების ამოქმედებისთანავე პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის ბრძანებულებას დროებითი ადმინისტრაციის შექმნისა და მისი ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ.

ამ თანამდებობას, სავარაუდოდ, დიმიტრი სანაკოევი მანამდე დაიკავებს, ვიდრე ის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საგანგებო მიმართვით წარდგება 11 მაისს. დროებითი ადმინისტრაციის მთავარი მიზანი იქნება ავტონომიის სტატუსზე მუშაობა, სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესში აქტიური მონაწილეობა და რეგიონში ლეგიტიმური არჩევნების მომზადება. ამ ფუნქციებს ადმინისტრაციას პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ანიჭებს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით სპეციფიკური ფუნქციების დელეგირებაც მოხდეს.

დადგენილების პროექტის განხილვის დროს დეპუტატებში ძირითადი დავა მხოლოდ ადმინისტრაციისთვის სახელწოდების მინიჭების პრობლემამ გამოიწვია.

„საერთოდ პროცესი არის სწორი... ეს არის დადგენილების პროექტი, რომელიც არაფერს არ აფუჭებს, მაგრამ ეს არის გადადებული პარტია. ადრე თუ გვიან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწევს თავად მიიღონ გადაწყვეტილება, რა ჰქვია ამ ადმინისტრაციულ ერთეულს და რა ჰქვია მის ადმინისტრაციას“, – განუცხადა „სივილ ჯორჯიას“ დავით ბერძენიშვილმა.

თუმცა უმრავლესობამ განმარტა, რომ ადმინისტრაციას ამ ეტაპზე არანაირი სახელი არ დაერქმევა და ეს მოხდება მას შემდეგ, რაც რეგიონის სტატუსი განისაზღვრება. „სპეციალურ განსაზღვრებას ამაზე ვერც გავაკეთებდით იმიტომ, რომ მართლაც თითოეულ სიტყვას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. არ არის აუცილებელი, რომ თავიდანვე კონფლიქტური მუხლი ჩაიდოს ამ დადგენილებაში“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

მისი თქმით, ადმინისტრაციის საზღვრები მოიცავს ყოფილი ოლქის მთელ ტერიტორიას.

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, დროებით ადმინისტრაციულ ერთეულთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ხელისუფლება აქტიურად ითანამშრომლებს ოპოზიციასთან ისევე, როგორც მთელი განვლილი პროცესის დროს ხდებოდა (გთავაზობთ იმ რუკას, რომლითაც რუსი ოკუპანტები ხელმძღვანელობენ).

„რაც ამ დღეებში და ამ წუთებში გუგუტიანთკარში ხდება, ვინ არ ელოდა, რომ მოხდებოდა? ამოიღეთ ხმა და თქვით სიმართლე! თუ ვინმე ამას არ ელოდა (საძართველოში განვითარებული სრული სიგიჟისა და ისტერიული პროცესების ფონზე), ის არის იდიოტი და თავი უნდა დაანებოს პოლიტიკური პროგნოზების ბრახაბრუხს.

რაც გუგუტიანთკარში ხდება, არის თუ არა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების, ქართული მიწების ჩამბარებელი „ოპოზიციის“ მავნებლობის შედეგი? თქვით სიმართლე, აღიმაღლეთ ხმა!

რაც გუგუტიანთკარში ხდება, ვინმე ვერ აცნობიერებს, რომ ძალზედ სახიფათო პროცესია ჩვენი საბრალო ქვეყნისა და ხალხისათვის?

ვინმე, „ძაან პრადვინუტი“ გვეტყვის ახლა, რას აპირებს ხელისუფლება, როგორ აპირებს ადამიანებისა და ჩვენი კუთვნილი მიწის დაცვას?

ეს ყველაფერი კი იმ პოლიტიკური ბორდერიზაციის შედეგია, რასაც 2013 წელს სახელი შეურბილდა და ე.წ. „კოჰაბიტაცია“ ეწოდა – საცეცები მეტასტაზებივით გაშალა და საშინელი შედეგების წინ დაგვაყენა.

ე.წ. კოჰაბიტაციის შედეგი მხოლოდ ის კი არ არის, რომ ვთქვათ ვინმე ბოკერია ციხის ნაცვლად პარლამენტში ზის და ე.წ. ტელეკომპანია „რ-2“, ყოველდღე სიბინძურეს, სიცრუეს და ამორალიზმს ავრცელებს.

კოჰაბიტაციის შედეგი არის საერთაშორისო ინსტიტუტების შეურაცხყოფა და დასავლური ურთიერთობების მახინჯი ფორმით წარმოჩენა.

კოჰაბიტაციის შედეგი არა მხოლოდ ნაცმოძრაობის და მათი აგრესიული რევანშიზმის ზეობაა, ამ მარაზმთან ერთად ე.წ. სამოქალაქო სექტორის, თავისუფალი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დამახინჯება და განადგურებაა.

კოჰაბიტაციის შედეგი ის დამთრგუნველი მდგომარეობაა, როცა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი „კოჰამუტანტების“ მეცადინეობით ოკუპანტის ნარატივს არჩევს.

კოჰაბიტაციის შედეგი სამართლიანობის უბორბლებო ურმით სიარულია. კოჰაბიტაცია არც მელიაზე სამაჯურის დადებით და არც გვარამიას დაჭერით დამთავრდება.

მისი დამთავრება უმარტივესად – ნაცების ბატონობის დამნაშავე რეჟიმად აღიარებით შეიძლება.

მისი დამთავრება ამ მარაზმის შემოქმედთათვის ზურგის შექცევით მოხდება.

ასეთი ქმედება მაჰათმა განდის და არა შურისძიების იდეების გაგრძელებაა და არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობაში, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობაშიც შელახულ ღირსებას დაგვიბრუნებს.

სწორედ ამიტომ ვერასდროს ვერ ჩავთვლი გიგა ბოკერიას ქართველ პოლიტიკოსად. ვერ ჩავთვლი ლევან ბერძენიშვილს ინტელექტუალად, ლაშა ბუღაძეს მწერლად და მარიამ გაფრინდაშვილს – ჟურნალისტად.

ვერასდროს ვიტყვი გუგული მაღრაძეზე, გიგი წერეთელზე და ზაქარია ქუცნაშვილზე, რომ ისინი კანონმდებლები იყვნენ. არანაირად არ იქნება ჯულიეტოვნა ტელეგადაცემის წამყვანი. ვერასოდეს ვაღიარებ ანა ნაცვლიშვილს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლად და უჩა ნანუაშვილს – სახალხო დამცველად.

ჩემთვის მიუღებელი იქნება თამუნა ვარშალომიძის იმ ფორმით პოპულარობა, როგორც წარმოჩენილია.

ეს და მრავალი სხვა მარაზმატული ფაქტი ჩემს ინტელექტს შეურაცხყოფს და არასდროს ავიტან.

„ხელისუფლება აცხადებს, რომ კოალიციის ფარგლებში დამნაშავე ძალასთან არ ითანამშრომლებს. ასეთი მკაფიო, კონკრეტული განცხადებები კეთდება ხელისუფლების პირველი პირების დონეზე.

მაქვს ორი კითხვა:

1. დამნაშავე ძალაში იგულისხმება მხოლოდ სააკაშვილის პოლიტჯგუფი? ანუ მელია, გოცირიძე, ბოკუჩავა და არა ბოკერია-უგულავას შემადგენლობა?

2. თუ საჯარო განცხადებების დონეზე ასეთ მკაფიო კვალიფიკაციას აძლევთ წინა რეჟიმის პოლიტიკურ ჯგუფებს, რატომ არავის სჯით? რატომ არ უჭერთ მხარს ჩვენს რეზოლუციას (რომელიც მეორედ დავარეგისტრირეთ პარლამენტში), რატომ არ იძვრის ადგილიდან თქვენ მიერ ხელოვნურად გაჩერებული საქმეები, რატომ არ ხდება დამნაშავეების გამიჯვნა პოლიტიკისგან? რატომ ცდით ქართველი ხალხის დიდ მოთმინებას?“ – წერს ირმა ინაშვილი.

ბოკერიას რეჟიმის უმთავრესი დანაშაული მორალური და გონებრივი დეგრადაციის განხორციელების წარმატებული დაწყებაა!

მან ბრწყინვალედ გამოიყენა სააკაშვილის არამდგრადი ფსიქიკა და საკმაოდ ძლიერი ქარიზმა, შინაგან ფსიქოლოგიურ კომპლექსებზე დამყარებული არასამთავრობო სექტორი, ფულსა და პოპულარობას დახარბებული „ცნობადი სახეები“, უავტორიტეტო და ამით დაბოღმილი ვითომდა ინტელექტუალები, ნორმალურ განათლებას მოკლებული ახალგაზრდები და საკმაოდ ძლიერი მედია-პიარი შექმნა.

გვარამია თუნდაც იმისთვის უნდა დაისაჯოს, რომ მან და მისმა პატრონებმა სცადეს და საკმაოდ დიდ შედეგს მიაღწიეს ქართული ჟურნალისტიკის განადგურებაში.

მათ ძლიერი მედიასაშუალება გადააქციეს ფაშისტური SS-ის იმ ძვედანაყოფად, რომელიც მასობრივად ანადგურებდა მშვიდობიან მოსახლეობას და რომელთა ქმედებები აბსოლუტურად მიუღებელი იყო ნებისმიერი ნამდვილი მებრძოლისთვის.

მათ შეძლეს და ფაქტობრივად დაამკვიდრეს ყველაზე ამორალური და მიუღებელი მეთოდების გამოყენების წესი და, სამწუხაროდ, ამ წესის გამოყენების უფლებაზე საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ჟურნალისტი ოცნებობს.

გვარამიამ სწორედ იმის გამოც უნდა აგოს პასუხი, რომ შექმნა ე.წ. სკინჰედების რაზმი, რომლებიც ნებისმიერი შესაძლებლობის დროს იძნებიან ნოდარიკო მელაძეები, მარიამ გაფრინდაშვილები, თამარ ბაღაშვილები და სხვა ჩვენთვის ცნობილი ზონდერები.

სწორედ იმ საზიზღარი კოჰაბიტაციის შედეგია ამორალური აზროვნების ის უმაღლესი გამოვლინება, როცა ნაცების მხრიდან ხდება აგვისტოს ომზე და დაღუპულ გმირებზე ლაპარაკი.

დღეს მათი ტელეეთერებში გამოჩენა ვითომდა მწუხარე სახეებითა და თვალებში ბოროტი სხივით ომზე ლაპარაკი, არის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ძალადობა. ქართველების კიდევ ერთი ოკუპაცია და დამცირების მცდელობა. დღეს მათი გამოჩენა ტელეეთერში, მათი მისვლა გმირების საფლავებთან, საჯარო სივრცეში ნათქვამი ნებისმიერი ფრაზის გავრცელება არის ოკუპაციის მხარდაჭერა და ნებსითი, თუ უნებლიე ღალატი.

იმ კოჰაბიტაციის და მორალური დეგრადაციის გამოვლინება იყო „ტელეიმედის“ ჟურნალისტთა „პროტესტი“ ფილმზე „სხვის დაწყებულ ომს ჩვენ მშვიდობით მოვიგებთ“!

ამ „პროტესტთან“ დაკავშირებით ყოველგვარი პოეტურ-ფილოსოფიურ-ნაცურ-ლიბერალური შესავლის გარეშე ვიტყვი, რომ „იმედის“ ეთერით გასული ფილმის მთავარი ხაზი არის **„სხვის დაწყებულ ომს ჩვენ მშვიდობით მოვიგებთ“!**

„სამშობლოს კეთილდღეობაზე“ განსაკუთრებულად „დამაშვრალი“ ლიბერალების გასაგონად გავიმეორებ – სხვის დაწყებულ ომს ჩვენ მშვიდობით მოვიგებთ და ავუხსნი, რომ ის „სხვა“ არის პუტინი, მიჰა და მისი ბანდა. აი ეს „ბრიგადა“ და არა საქართველო (ახლა არ დამიწყოთ პოლიტოლოგიური წიაღსვლები – მაშინ მიჰა და საქართველო ერთ „სუბიექტს“ წარმოადგენდნენო).

ერთ იმ ცნობილ შეგონებასაც დავამატებ, რომელიც მრავალნაკადი ქალბატონებისგან ხშირად გვსმენია – ცხოვრებაში რამდენი კაციც არ უნდა გამოიცვალო, ის, ვისთანაც პირველად „იშიშმატე“, მუდამ შენს გულში იქნებაო.

მრავალჯერ დამიწერია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, „იმედის“ ბევრ თანამშრომელს დღესაც „რ-2“-ის „თავისუფალი ჟურნალისტიკა“ და უფრო სწორად, ის პოპულარობა ესიზმრება, რაც კურიერის თანამშრომლებს ჰქონდათ და აქვთ (თუ როგორია ის „პოპულარობა“, ამას არაფრად დაგიდევენ).

ასე რომ, ნამდვილი აბანოა დღეს ქართულ პოლიტიკაში. აბანო, სადაც თეთრი და შავი კარგად ჩანს.

* * *

წავიკითხე კობი-გუდაურის გზის პროექტზე მიჰას განცხადება, წავიკითხე 2012 წელს გაგარინ-დიღმელაშვილისას გაკეთებული „შეფასებები“ ნაცებზე, კიდევ ბევრი რამ წავიკითხე... ოღონდ ეს ყველაფერი ინტერნეტში ვნახე!

გეყურებაااათ!!! – ინტერნეტში!

ახლა ვარ აბაშის რაიონის სოფელ მარანში, სადაც ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციაზე ძალიან მწირი წვდომაა. ანალოგიური სიტუაციაა სხვაგანაც (მათ შორის, თბილისშიც)!

ტელევიზიებში, „ობიექტივის“ გარდა, აგრესიული ლიბერალები და სოლიდარულ გაუგებრობაში მყოფი ტიპები სუფევენ!

არ მიხედოთ ბეჭდურ მედიას, არ მიიტანოთ ნამდვილი ინფორმაცია თითოეულ ამომრჩევლამდე, ითვალეთ ლაიქები და ხალხის ტვინების გამორეცხვის უფლება „რ-2“-ს და ლაით „რ-2“-ს დაუტოვეთ.

ქართულ პოლიტიკაში პუტინის თანაოკუპანტთა მიერ მიმდინარე ბორდერიზაცია უნდა დამთავრდეს!

სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს. ამ წერილის ბოლოს კი ისევ ირმა ინაშვილის სიტყვებს მოვიყვან: ვირები – ბედაურობენ, ყვავები – არწივობენ, თაგვები – ვეფხვობენ, ვირთხები – ლომობენ, ჩიკოტელოებს – მაჰათმა განდობენ, ქვეშაფსიები – ცოტნე დადიანობენ...

და ამ ვირების, ყვავების, თაგვების, ვირთხების, ჩიკატილოებისა და ქვეშაფსიების წკმუტუნს 24-საათიან რეჟიმში გვასმენინებენ.

ყველას ვეუბნები, ვინც ხვდება რა მარაზმშიც ვართ და ვატყობ, ბევრი ხვდება უკვე ამას, ქვეყანა დასაგვეელია. ნაგავი სამუდამოდ გასატანია. მორალურ შეტევაზე ჩვენ უნდა გადავიდეთ! იმიტომ, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა.

გია გაბრიჭიძე

ანაკლიის პორტი აშენდება, მაგრამ... რას იზამს „უსაქმოდ დარჩენილი“ კონსორციუმი?!

ზაფხულის სიცხითა და ეროვნული ვალუტის რყევებით გათანგული საზოგადოების ყურადღების მხრივ ერთგვარად ჩრდილში მოექცა **სამი უმნიშვნელოვანესი პროექტი,** რომლებმაც უახლოეს წლებში არსებითად უნდა შეცვალონ ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურული იმიჯი და სრულიად ახლებურად დაანახონ იგი მის მოქალაქეებსაც და საქართველოთი, როგორც საინვესტიციო და სატრანზიტო ქვეყნით, დაინტერესებულ საზღვარგარეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ლაპარაკია სამხრეთ კავკასიაში უგრძესი და ყველაზე ფართო საავტომობილო 9-კილომეტრიან **გვირაბზე** საქართველოს სამხედრო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე, **აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს შემაერთებელ ავტობანსა და ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტზე.** პირველი მათგანის სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 600 მლნ. აშშ დოლარია, მეორის – 1.1 მლრდ. დოლარზე მეტი, ხოლო ანაკლიის პორტის მხოლოდ პირველი ფაზის დამთავრება 620 მლნ. აშშ დოლარზე მეტს მოითხოვს.

ძლიერ სახელმწიფოს კომპეტენტური, პატრიოტი და ცოტათი იდეალისტი ადამიანები და შესაბამისი კადრებით დაკომპლექტებული ინსტიტუტები აშენებენ!

პირველსა და მეორეზე სახსრები, ფაქტობრივად, უკვე მოძიებულია. ამასთან, ჯვრის უღელტეხილის ქვეშ გვირაბის მშენებლობაზე ტენდერი სულ მალე გამოცხადდება, ლიხს იქით და აქეთ გზის მშენებლობა ოთხ მონაკვეთადაა დაყოფილი და ცალკეულ მონაკვეთებზე მუშაობა უკვე დაწყებულია. *გზები თავიანთი პრაქტიკული დანიშნულებით, როგორც წესი, საზოგადოებრივი საქონელია, საერთო სიკეთეა,* ამიტომ მათზე პატრონაჟი უშუალოდ სახელმწიფოს აქვს აღებული – მშენებლობები უშუალოდ მის მიერ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრებით ფინანსდება.

რაც შეეხება ანაკლიის პორტს, იგი თავისი არსით **კომერციული ორგანიზმია,** მან მოგების მოტანა უნდა უზრუნველყოს და აქედან გამომდინარე, მასში სახელმწიფოს მონაწილეობა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. კომერცია კი მოგებაზე ორიენტირებას ნიშნავს, ამიტომ პორტისადმი ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, კერძო ბიზნესმა უნდა გამოხატოს – არა აქვს მნიშვნელობა, ადგილობრივი იქნება იგი თუ უცხოური. აკი ანდაზაც გვახსენებს: *„თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდება“.*

რა თქმა უნდა, სახელმწიფოსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პორტის მშენებლობაში. თუმცა მისთვის (და მთელი საზოგადოებისთვის) უკეთესი იქნება, თუკი ეს კერძო ბიზნესის ინიციატივით და მოზიდული სახსრებით განხორციელდება. ქვეყნის საბიუჯეტო პოტენციალი დაახლოებით 13 მლრდ ლარია, საიდანაც თითოეული ლარი „მიბმულია“ სახელმწიფოს კონკრეტულ ვალდებულებებსა და პროექტებზე. ანაკლიის პორტის პირველი ფაზის მშენებლობის საპროექტო ღირებულება კი თითქმის უტოლდება წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაცემ საპენსიო თანხას. შესაბამისად, რაც მეტი თანხა იქნება „გადასროლილი“ კერძო კომერციული პროექტის მხარდასაჭერად, მით ნაკლები რესურსი დარჩება სახელმწიფოს მისი სოციალური ვალდებულებების – განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფაზე.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ ბოლო წლებში უპრეცედენტო დახმარებები და შეღავათები გაუწია, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმში ამყოფა ანაკლიის პორტის კონსორციუმი. – დახმარების სახით, თანადაფინანსებისა (100 მლნ. აშშ დოლარის ინვესტორის კაპიტალში შეტანით) და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანისათვის (კერძო პირებისაგან მათი კუთვნილი მიწების გამოსყიდვა, საგზაო ინფრასტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა და ა.შ.) სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გაიღო 250 მლნ. ლარი, გადადგა ნაბიჯები, რომლებიც თავდაპირველად არც იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, სულ ცოტა, **ექვსჯერ გადაავადა პროექტის რეალიზაციის ვადები,** *არ დააკისრა 11 მლნ. ლარის საჯარიმო სანქციები...*

ანაკლიის პორტის მშენებლობის კერძო კომერციული პროექტის სტატუსის მიუხედავად, სახელმწიფომ, ზემოხსენებული ხარჯების გარდა, თავის თავზე აიღო პოლიტიკური რისკების დაზღვევა (მათ შორის, პოლიტიკური ფორსმაჟორული მდგომარეობისაგან; მზაობა, კანონმდებლობის შეცვლით კონსორციუმის შემოსავლების შემცირების ანაზღაურება). კონსორციუმი ამან მაინც არ დააკმაყოფილა და ამის გარდა სახელმწიფოსაგან კომერციული რისკების დაზღვევაც მოითხოვა. პოტენციური კრედიტორები (ბანკები), ბუნებრივია, ითხოვენ შესაბამის გარანტიებს საკუთარი სახსრების სარგებლით უკან დაბრუნების თაობაზე, რისი გადაკისრებაც კონსორციუმს სახელმწიფოზე სურს. ეს ნიშნავს: კომერციული რისკების (ტვირთბრუნვის რისკისა და სესხის უზრუნველყოფის) საქართველოს ხელისუფლების მიერ თავის თავზე აღებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სარგებელი, მოგების შემთხვევაში – კონსორციუმს, ხარჯების დაფარვა და შესაბამისი თავის ტკივილი, ზარალის შემთხვევაში – სახელმწიფოსა და მის ბიუჯეტს.

„რკინისებური ლოგიკაა“, არა?!

ეს იგივეა, კინოქრონიკის ოპერატორს მოვთხოვოთ, კამერით სპრინტერების წინ ირბინოს ისე, რომ მათი ანფასში და ორივე მხრიდან პროფილში გადაღება მოასწროს.

მაგრამ თუ ოპერატორი ამდენს შეძლებს, მაშინ ის თავად ჩაიცვამდა სპორტულ უნიფორმას და უკვე ამ სტატუსით მიაღწევდა წარმატებას!

სახელმწიფო აღარ წავიდა ამგვარ დათმობაზე, სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორების როლების დარღვევასა და აღრევაზე, გაუმართლებელი პრეფერენციების დაწესებაზე ერთ კონკრეტულ ბიზნეს-სუბიექტთან მიმართებაში. ეს არასამართლიანი იქნებოდა მთელი საზოგადოებისა და სხვა ბიზნესებისათვის და არაეფექტიანი საბოლოო შედეგების მიღების თვალსაზრისით იმ ასპექტით, რომ სახელმწიფოს მხრიდან „უსაფრთხოების ბალიშის“ არსებობის განცდა უარყოფით გავლენას მოახდენდა მათი მაღალი კომერციული შედეგების მიღწევის მოტივაციაზე. აღნიშნულ განცდას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ კონსორციუმმა დღემდე ვერ მოახერხა 400 მლნ. აშშ დოლარის სახსრების მობილიზაცია პორტის მშენებლობის პირველი ფაზის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ კონსორციუმი დღემდე ვერ ასრულებს მის მიერ აღებულ ვალდებულებებს, პირადად მე ძალიან მინდა, რომ მან ეს შეძლოს და ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობის ლელო ბოლომდე გაიტანოს, მიმდინარე წლის ბოლომდე შეძლოს ინვესტორებთან შეთანხმების მიღწევა დაფინანსების მიღებაზე როგორც შესავსებად, ისე ბანკებთან უზრუნველყოფის ნაწილზე. არა იმიტომ, რომ რაიმე სიმპათიები ან ინტერესი მამოძრავებს მისდამი ან მისი წევრებისადმი. უბრალოდ, მინდა, რომ ქართული ბიზნესი იმდენად წონადი და ანგარიშგასაწევი იყოს, რომ ხელეწიფებოდეს მეგაპროექტების განხორციელება, ჰქონდეს ნდობის მაღალი მანდატი და რეპუტაცია საერთაშორისო საბანკო და საინვესტიციო წრეებში.

მაგრამ, მაინც რა იქნება, თუკი უკვე მერამდენედ გადავადებული სახსრების მოძიების „ეპოპეა“ ანაკლიის კონსორციუმისთვის წარუმატებლად დასრულდება?

როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა „ქრონიკისათვის“ ა.წ. 3 აგვისტოს მიცემულ ვრცელ ინტერვიუში, გამოსავალი ორია: ან მოიძებნება ახალი ინვესტორი (თუმცა, სახელმწიფო ჯერჯერობით არ ეძებს ალტერნატიულ ინვესტორს), ან სახელმწიფო თავის თავზე აიღებს მშენებლობას და ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს!

ნებისმიერ შემთხვევაში, ანაკლის პორტი აშენდება! ესაა ხელისუფლების ერთმნიშვნელოვანი პოზიცია.

რას იზამს ამ შემთხვევაში „უსაქმოდ დარჩენილი“ კონსორციუმი?

ქვეყანაში, რომელიც ახლა აშენებს დამოუკიდებელ, თანამედროვე სახელმწიფოს, საქმის მეტი რა არის გასაკეთებელი?! მარტო ყოველ კვადრატულ კილომეტრზე საავტომობილო გზების სიგრძით საქართველო ჩამორჩება: თურქეთს – თითქმის 2-ჯერ, საბერძნეთს – 3-ჯერ, შვეიცარიას – 6-ჯერ... ასე რომ, მარტო ამ კუთხითაც კი „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“! კონსორციუმში შემავალ ბიზნეს-სუბიექტებს, შესაბამისი ნების შემთხვევაში, საკუთარი რესურსების, საერთაშორისო კავშირებისა და სტატუსის წევრების კრეატულობის გათვალისწინებით, ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეთ საქართველოში ისეთი პროექტის (პროექტების) განხორციელება, რომლებიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მათთვის კომერციულად წარმატებული და რეზონანსული იქნება.

ძლიერ სახელმწიფოს კომპეტენტური, პრინციპული, პატრიოტი და ცოტათი იდეალისტი ადამიანები და შესაბამისი კადრებით დაკომპლექტებული ინსტიტუტები აშენებენ!

იოსებ არჩვაძე

ანაკლიის პორტის პროექტთან მიმართებაში სახელმწიფო ყველა ვალდებულებას ასრულებს

ახალი აეროპორტები, პორტების განვითარება, ლოჯისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქვეყნის ეკონომიკური მომავლის ფუნდამენტალური ნაწილია. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს ვხარჯავთ და ბუნებრივია, ანაკლიის პორტიც ამ პროექტებს შორის არის, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც საჯარო და კერძო პარტნიორობით უნდა განხორციელდეს.

„საჯარო სექტორი, ანუ სახელმწიფო თავის ვალდებულებებს ზედმიწევნით ასრულებს, ხოლო იქ, სადაც კერძო სექტორს უჭირს ინვესტიციების მოზიდვა, კრედიტის მიღება, თავისი ვალდებულების შესრულება, როგორც იცით, ჩვენ არაერთხელ მხარდაჭერა გამოვუცხადეთ. ვადების მხრივ იყო ცვლილებები, იყო სუბორდინირებული სესხები, სახელმწიფომ გადაიხადა კონკრეტულად ფული იმისთვის, რომ კონკრეტულად მიწების გამოსყიდვა მომხდარიყო ანაკლიის პორტისთვის. ასე რომ, ძალიან ბევრი საქმე სახელმწიფოს მხრიდან არის გაკეთებული. ველოდებით, როდესაც ამ პროექტის კერძო პარტნიორები და ინვესტორები შეასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც აღებული აქვთ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს არის რთული, კომპლექსური პროექტი. შესაბამისად, მისი განხორციელება ადვილი არ არის და, ბუნებრივია, ამიტომაც არის საჭირო სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. როგორც გითხარით, სახელმწიფო ყველა ვალდებულებას ასრულებს ამ პროექტთან მიმართებაში“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„ახალი როკის გვირაბი“ თუ უსაფუძვლო შიშები?

საქართველოს მთავრობა აპირებს, განახორციელოს „უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი“ კობი-გუდაურის ჩქაროსნული მაგისტრალის სახით. პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის თქმით, „ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე გრძელი გვირაბის მქონე და ერთ-ერთი ყველაზე რთული საინჟინრო ნაგებობა ევროპაში“. თუმცა მთავრობის ამ ინიციატივას გამოუჩნდნენ ქრონიკული მოწინააღმდეგეები. საქართველოს ყოფილმა ბრალდებულმა და ძებნილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რუსეთთან დამაკავშირებელ ე.წ. „საქართველოს სამხედრო გზაზე“ კობი-გუდაურის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის პროექტს „ახალ როკის გვირაბი“ უწოდა.

საუბარია მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კობი-გუდაურის მონაკვეთზე, რომელიც რთული რელიეფური პირობებისა და ზვავსაშიში ვითარების გამო ხშირად იკეტება ზამთრობით. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ კობი-გუდაურის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა სამუდამოდ მოხსნის ამ პრობლემას.

ქვეშეთი-კობის გზაზე დაგეგმილია 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის 22.7 კმ. გზის, 6 ხიდისა და 5 გვირაბის მშენებლობა, მათ შორის ერთი 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობა. გვირაბი სოფელ წკერესთან დაიწყება და სოფელ კობთან დასრულდება, აღნიშნული გვირაბი ჯვრის უღელტეხილის ქვეშ გაივლის.

ქვეშეთი-კობის მონაკვეთი, სატრანზიტო მნიშვნელობის ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის ნაწილია. გზა გადის რთულ გეოგრაფიულ მარშრუტზე და ზამთრის პერიოდში ხასიათდება დიდთოვლიანობით. ზამთარში ზვავსაშიშროებისა და რთული მეტეოროლოგიური პიროებების გამო საავტომობილო მოძრაობა ხშირად იკეტება, ფერხდება სატრანზიტო მიმოსვლა. ახალი გზა და 9 კმ-იანი გვირაბი მოაგვარებს არსებულ პრობლემებს. სატრანზიტო მიმოსვლა წელიწადის ნებისმიერ დროს შეუფერხებლად იქნება შესაძლებელი.

ქვეშეთი-კობის 9 კმ-იანი გვირაბი 15 მეტრის სიგანის იქნება, რაც იშვიათია არამარტო ამიერკავკასიაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ქვეშეთი-კობის გზაზე აშენდება 500 მ-იანი თაღოვანი ხიდი, რომლის თაღი 300 მ-ის სიგრძის იქნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, არსებული 35 კმ-იანი გზის ნაცვლად, ქვეშეთიდან კობამდე გადაადგილების მანძილი 12 კმ-ით შემცირდება და 1-საათიანი მგზავრობის ნაცვლად აღნიშნული გზის გავლა 20 წუთში იქნება შესაძლებელი. ქვეშეთი-კობის გზა მიუყვება თეთრი არაგვის კალაპოტს 7 კმ სიგრძის მონაკვეთზე. გაივლის სოფელ არაკვეთს, ქვემო მლეთასთან კი იწყება სერპანტინი. გზა კვეთს გუდაურს, გადადის ჯვრის უღელტეხილს და მთავრდება სოფ.კობთან. პროექტის ზემოქმედების ზონაში ხვდება სულ 9 სოფელი.

ქვეშეთი-კობის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს, აზიის განვითარების ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს. სამშენებლო სამუშაოები 2019 წლის ბოლოს დაიწყება და 2023 წელს დასრულდება. პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 მლნ აშშ დოლარია.

სააკაშვილი პროექტისა და სააკაშვილის წინააღმდეგ

ძებნილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში დაწერა, რომ კობი-გუდაურის ჩქაროსნული მაგისტრალის პროექტის განხორციელებით საქართველო მიიღებს „ახალ როკის გვირაბს“, ხოლო ავტობანის აშენების შემთხვევაში რუსეთს გაეხსნება სამხედრო გზა თბილისის სწრაფი აღებისათვის.

„ესაა ახალი როკის გვირაბი. 2008 წელს მე გავეცი გორიდან უკან დახევის ბრძანება მას შემდეგ, რაც მივიღე ცნობა ლარსზე რუსული ჯავშანტექნიკის კონცენტრაციის შესახებ.

რომ არ დაგვეხია, ეს დაჯგუფება ზუსტად ისე მოაქცევდა ალყაში და ჩახოცავდა ჩვენს ჯარს, როგორც რუსებმა გააკეთეს მოგვიანებით უკრაინულ ილოვაისკში 2014 წელს. ავტობანის აშენების შემთხვევაში რუსეთს ეხსნება სამხედრო გზა თბილისის სწრაფი აღებისთვის. ეს 100% პუტინის დაკვეთაა, რომელსაც ივანიშვილი ასრულებს და ტურიზმის განვითარება აქ არაფერ შუაშია“, — წერს **მიხეილ სააკაშვილი.**

თუმცა საქართველოს მესამე პრეზიდენტი სულ სხვაგვარ შეფასებას აძლევდა გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მასშტაბური გვირაბის აშენებას 2012 წლის 9 აპრილს ყაზბეგის რაიონში სიტყვით გამოსვლისას.

„ახალი გვირაბის მშენებლობას, ალბათ, სამი წელიწადი დასჭირდება, მაგრამ მისი დასრულების შემდეგ ყაზბეგი თბილისის პატარა გარეუბანი გახდება. ეს იქნება საოცრება — თბილისზე მიბმული საოცრება“, — განაცხადა მაშინ მიხეილ სააკაშვილმა.

2012 წლის წინასწარი პროექტით, 9,5 კმ-იანი გვირაბი უნდა დაწყებულიყო გუდაურის ყველაზე რთულ ამოსახვევამდე და დასრულებულიყო კობში.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის კობი-გუდაურის მონაკვეთზე გვირაბის აშენების იდეა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში გაჩნდა, საბჭოთა საქართველოს დროს, თუმცა პროექტი ვერ განხორციელდა. იდეა გაცოცხლდა მოგვიანებით, 1997 წელს, მაგრამ ვერც მაშინდელმა მთავრობამ შეძლო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახსრების მოძიება. შესაბამისად, დღემდე გზის ეს მონაკვეთი ზამთრის პერიოდში ხშირად იკეტება და პრობლემებს უქმნის როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ამ გზით სარგებლობენ.

იხ. 7 გვ.

10 დაღუპული, 48 – დაშავებული – ახალი გზის ერთი წლის სტატისტიკა

ბათუმი-ქობულეთის შემოვლით გზაზე წლის განმავლობაში 23 საგზაო შემთხვევა აღირიცხა. 10 ადამიანი დაიღუპა, 48 კი დაშავდა. ინფორმაცია რადიო თავისუფლებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა მიაწოდა.

ბათუმი-ქობულეთის შემოვლითი გზა 2018 წელს არის აშენებული. საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ გზა გამართულია და მაქსიმალურად არის აღჭურვილი ყველა საჭირო საგზაო ნიშნით.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ხელმძღვანელი ეკა ლალიაშვილი ამბობს, რომ ამ გზაზე მომხდარი ავარიების სტატისტიკა საყურადღებოა. მისივე თქმით, საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს ვითარების უფრო დეტალურად შესწავლის მექანიზმი. ლალიაშვილი ამბობს, რომ უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ საზღვარგარეთ აპრობირებული სისტემის დანერგვაზე, რომელიც ე.წ. „შავი წერტილებისა“ და „შავი მონაკვეთების“ განსაზღვრას შეუწყობს ხელს.

კერძოდ, **თუ ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას (ადგილის სიგრძე განისაზღვრება 300 მეტრით) 3 ადამიანი დაიღუპა, ადგილს „შავი წერტილის“ კატეგორია ენიჭება. ხოლო, თუ 3-4 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას (კილომეტრის მანძილზე) 6 ადამიანი დაიღუპა, ეს უკვე „შავი მონაკვეთია“.**

„როდესაც „შავი წერტილები“ და „შავი მონაკვეთები“ უკვე იდენტიფიცირებული იქნება, უნდა ჩატარდეს მოკვლევა, რა იწვევს ამ კონკრეტულ ადგილებში საგზაო შემთხვევებს. შემდეგ უნდა იზრუნონ გამოსწორებაზე. ვფიქრობ, ერთ წელიწადში 10 ფატალური შემთხვევა ძალიან მაღალი მაჩვენებელია. იქ ან ინფრასტრუქტურის პრობლემა იქნება, ან მაღალი სიჩქარე, ან მანქანის გაუმართაობა“, — ამბობს ეკა ლალიაშვილი.

ამასვე აცხადებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომელიც საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით პასუხისმგებელ უწყებებს უწევს კოორდინაციას.

„ტექნიკური პრობლემების გამო დღემდე არ გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი „შავი წერტილები“. ვერ ხერხდებოდა საგზაო შემთხვევის ლოკაციის ზუსტი განსაზღვრა. ცდომილება იყო საკმაოდ დიდი — დაახლოებით, კილომეტრიანი, ზოგ შემთხვევაში — 500-მეტრიანი. ამჯერად შსს ამ პრობლემის მოგვარების გზაზეა“, — ამბობს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ერეკლე კეჟერაშვილი.

მისივე თქმით, 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია „შავი წერტილის“ დეფინიციის განსაზღვრა, რის შემდეგაც შესაბამის უწყებებს საფუძველი ექნებათ, ზომები მიიღონ. ასევე მომზადებულია საავტომობილო გზების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები. პაკეტი განსახილველად გაგზავნილია სხვადასხვა უწყებაში.

თეა თოფურია

ავტომაგისტრალებზე გადაადგილება, შესაძლოა, ფასიანი გახდეს

როგორც ჩანს, რამდენიმე წლის წინათ შეჩერებული იდეა მთავრობაში ისევ გააცოცხლეს. ერთი პერიოდი ფასიან გზებზე საუბარი სრულიად შეწყდა, ახლა კი ისევ დაიწყო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის **ირაკლი ქარსელაძის** განცხადებით, ფასიან გზებთან დაკავშირებით კვლევის ჩატარების შემდეგ განისაზღვრება მონაკვეთები, სადაც მძღოლებს საფასურის გადახდა მოუწევთ. ფასიან გზაზე გადაადგილების დროს, მძღოლებმა გარკვეულ ადგილებზე ავტომანქანა უნდა გააჩერონ და გზის გასაგრძელებლად ფიქსირებული თანხა გადაიხადონ. არსებობს გადახდის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, ელექტრონულიც. მსოფლიოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, საფასური, რომელიც გზატკეცილებზეა დაწესებული, ახალი გზების მშენებლობის, არსებული გზის მოვლა-პატრონობის, ან მის ასაშენებლად დახარჯული თანხების დასაფარად გამოიყენება.

ფასიანი გზის შესახებ მოსაზრებას სატრანსპორტო დარგის სპეციალისტები კატეგორიულად ემიჯნებიან. ერთადერთი გამონაკლისი უნდა იყოს ტრანზიტული სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გზით სარგებლობისთვის გადასახადის გადახდა დაეკისრება, რადგან მძიმე სატვირთო ავტომობილები საგზაო ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვნად აზიანებენ.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი **დავით მესხიშვილი** კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოქალაქეების მხრიდან მაგისტრალური გზით სარგებლობისთვის რამე გადასადახის გადახდას, სანამ ალტერნატიული უფასო გზა არ გაიხსნება.

„მაგისტრალების შენახვის მიმართ სხვადასხვა ქვეყანას ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა აქვს. არის სახელმწიფოები, სადაც ფასიანი გზები არსებობს, ანუ ხალხი იხდის თანხას და გზის შენახვა ამის საფუძველზე ხდება. ჩვენთან სათანადოდ არის შესასწავლი, თუ რამდენად მიზანშეწონილია გზების გაფასიანება, მათ შორის მძიმე წონის ტრანზიტულად მოძრავ ავტომანქანებზე, რომლებიც გზებს ძალიან აზიანებენ.

მეორე საკითხია ალტერნატიული გზაც, სადაც მოხდება ავტომობილების გადაადგილება დედაქალაქიდან რეგიონების მიმართულებით და პირიქით. უფასო გზის არარსებობის პირობებში ტარიფების დაწესება კატეგორიულად მიუღებელია, ევროკავშირის ქვეყნებშიც ასეა“, — ამბობს მესხიშვილი და ხაზს უსვამს, რომ გადასახადის დაწესება პროდუქტებს კიდევ უფრო გააძვირებს.

ფასის დაწესებამ შეიძლება, სავაჭრო სექტორზე იმოქმედოს, განსაკუთრებით აგრარული პროდუქტის ფასზე. საგზაო ტარიფი ამ მხრივ გავლენას ნამდვილად მოახდენს. ამიტომ ტრანსპორტის დარგის სპეციალისტების აზრით, უფასო მონაკვეთების გარეშე ასეთი გადაწყვეტილების მიღება აბსურდია.

ბექა დანელია

ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია

წყალი! წყალი! წყალი!

საქართველო იყო და კვლავაც გახდება მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი და წარმატებული ქვეყანა!

დღითი დღე ივსება „მოთმინების ფიალა“ და თუ ეს ბოლო იმედიც ვაგვიკრფვდა, მერე პოლიტიკოსებმა და ხალხის დაქირავებულმა ჩინოვნიკებმა თქვენს თავს მოჰკითხეთ „ამ ქვეყანას ვინ რა არგო“... მაგრამ მერე გვიანი იქნება

დიახ, საქართველო ოდითგან ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი ნაყოფიერი და მდიდარი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის სივრცეში.

ქვ.წ. III საუკუნეში საქართველოს დიდებასა და გრწყინვალებაზე მიუთითებს „არგონავტების“ მოგზაურობა ოქროთი მდიდარ ქვეყანაში – კოლხეთში.

VII ს-ში სომეხი ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის ცნობით, „თბილისიდან, ხვარაზმელებმა უამრავი განძეულებით დატვირთული სკივრები, მარგალიტით მოოჭვილი საეკლესიო სამკაულები და ჭურჭელი, ოქროს და ვერცხლის ფული, ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჭიქები და სხვა მრავალი ნივთი გაზიდეს“.

VII ს-ში ირანელი ისტორიკოსის იბნ ისფაჰანის ცნობით, „...ხორეზმ შაჰ თექეშს თაბარის მბრძანებელმა იბნ ჰასანმა სხვა საჩუქრებთან ერთად ძღვნად გაუგზავნა: ბიზანტიური, ბაღდადური და თბილისური ქსოვილები საპალნეებით“ .

XII ს-ში სამეფო ქალაქი ტფილისი მთელი კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო

XIII ს-ში „მსოფლიოს საკვირველებანის“ ერთ-ერთი ავტორის ცნობით: „...განთქმული იყო თბილისური ნაწარმი: უნაგირები – სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგმებით, მრავალნაირი ნაბდებით, ფაქიზი ნოხებით, თხელი შალით და აბრეშუმით“.

XIV ს-ში თბილისის როლი ცნობილი იყო საერთაშორისო ასპარეზზე ვაჭრობით აზიისა და დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან.

XV საუკუნიდან კი ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი თავდასხმებით ინგრეოდა საქართველო და ჩანაგდებოდა ტრადიციული მეურნეობა..

XX საუკუნიდან საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ტრიუმფალური სვლა იწყო წინ, რაზეც ირაკლი აბაშიძე წერდა:

„ბარომეტრის ისარი გამოდარებას უჩვენებს. მეფის რუსეთში თებერვლის რევოლუციის, ოქტომბრის გადატრიალების წლებიდან მოყოლებული, კანიბალიზმამდე მისული დიდი შიმშილობის შემდეგ, 1920-იანი წლებიდან ქვეყანას არ აკლია ხვავი და ბარაქა. გლეხი თავის მიწაზე ზის, ვაჭრობასა და მრეწველობას თავისი გამოცდილი თავკაცები დაუბრუნდნენ.

არამც თუ დედაქალაქი, არამედ პროვინციული ქალაქებიც ელავენ. მათი ცენტრები სავსეა მაღაზიებით, მაღაზიები კი სავსეა საქონლით.

30-იან წლებიდან მოხდა ქვეყნის ინდუსტიალიზაცია. გაუქმდა კერძო ვაჭრობა-მრეწველობა, რომელიც საუკუნეების გრძელ მანძილზე არსებითად უცხოელთა, არაქართველთა ხელში იყო, განსაკუთრებით ირანელების და სომხების. საბოლოოდ დატოვეს თბილისი: ზემელებმა, არამიანცებმა, ზინგერებმა, მელიქ-აზარიანცებმა, ვოლოხოვებმა და სხვებმა“.

„ნეპის გაუქმებამ თბილისში შეამცირა უცხო ტომის მოსახლეობის რიცხვი. ფაბრიკა-ქარხნები შეივსო ქართველი მუშა ხელით“.

XX საუკუნის საქართველოს ეკონომიკაზე და საგარეო ვაჭრობაზე წარმოდგენას გვაძლევს თანდართული საქართველოს ექსპორტის რუკა (1958-1965 წ.წ.)

1990-იანი წლებიდან კი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით დაინგრა საქართველოს ეკონომიკა, ფაბრიკა-ქარხნები ჯართად იქცა, მოიშალა სოფლის მეურნეობა და დღეს მსოფლიოს ღარიბ ქვეყანათა სიის თავში

უზარმაზარი მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო მარაგები გააჩნია, რომელსაც ვერ ან არ ვიყენებთ და უღვთოდ იკარგება მიწისქვეშეთში.

1990-იანი წლებიდან, საქართველოს ეკონომიკის უკუსვლის პერიოდში, საქართველოს ცნობილმა მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაზე და გამოსავალი ერთადერთ კონკურენტუნარიანი უპირატესობის მიწისქვეშა სასმელ წყალში

„საწყაული“, რათა არ დაირღვეს დედამიწის ქერქის შემადგენელი ქანების ურთიერთგანლაგების კანონზომიერი „წესრიგი“.

უზარმაზარ მიწისქვეშეთს უზარმაზარი კვლევა-ძიება დასჭირდა, რომელიც 2003 წლიდან იტვირთა აკადემიკოსმა პაატა გიორგაძემ თავის თანამოაზრე მეცნიერებთან ერთად და მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ქვეყანას ამცნეს, რომ საქართველოს აქვს უზარმაზარი მარაგი მიწისქვეშა სასმელი წყლისა, რომლის რეალიზება და ახალ ფინანსურ ინსტრუმენტად ფორმირება საქართველოს გახდის ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად მსოფლიოში.

ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებით განსაკუთრებით დაინტერესებულია ჩვენი ლეგენდარული სპორტსმენი და პატრიოტი, ექსპერტი მცირე და საშუალო მეწარმეობის დარგში რომან რურუა, რომელიც კარგა ხანია, დამაჯერებლად ასაბუთებს ამ საქვეყნო პრობლემის ოპერატიულად მოგვარების აუცილებლობას.

აკადემიკოს პაატა გიორგაძის მეცნიერული კვლევები შესწავლილი იქნა მსოფლიოს კაპიტალის გლობალური ბაზრის წამყვანი ოფიცრების მიერ, პარალელურად შესწავლა გრძელდებოდა ევროპის საფინანსო ინსტიტუტებშიც, მაგრამ გარკვეული ექსპერტული დასკვნების შემდეგ 2007 წლიდან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ სურვილი და მზაობა გამოთქვა ამერიკის მსხვილმა საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებმაც გამოხატეს სურვილი ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებული, კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიოს ფინანსურ რესურსებში ჩართვის ტექნოლოგიური მოდელით დაეფინანსებინათ 3 მლრდ აშშ დოლარით (ბოლო პერიოდში 5 მლრდ) ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობა და თვითონვე გაეტანათ დაფასოებული წყლის პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე, რომლის რაოდენობა განისაზღვრა დასაშვები საექსპლოატაციო მარაგის 301ლ/წმ-ის მოცულობიდან მხოლოდ უმცირესი ნაწილის 0,75%-ის, ანუ 2,5 კუბ.მ ინდუსტრიულ წარმოებაში გამოყენებით. რა თქმა უნდა, გათვლილი და გათვალისწინებულია დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა, **მაგრამ რაღაც უხილავი ძალა აფერხებს ქვეყნის გადარჩენის ამ უნიკალურ შანსს.**

იდეა!

ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!

ის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ დღეს მივისმენთ, არც ჩემი ნააზრევია და არც ვინმე ჩვენი თანამედროვის. მინდა, მადლიერება გამოვთქვა თანამედროვე ფილოსოფოსის და მოაზროვნის **თამაზ გუთხუზის** მიმართ, რომელმაც მსოფლიოს ყველა დროის ფილოსოფოსთა ზოგიერთი ნააზრევი წიგნად **„შესაძლებლის აღსრულება“** შეკრა და გაგვიზიარა საკუთარი შეხედულებები. ეს ის ფილოსოფოსები არიან, რომელთა ათასწლეულების წინათ ნათქვამი დღესაც აქტუალურია, შეუდარებელია მაშინდელი აზროვნება, რომელსაც ვერ ცვლის ვერც ჟამი და დრო და დარჩება უკუნითი უკუნისამდე.

მიგვაჩნია, რომ ასეთი საინტერესო წიგნი დიდი ხანია, არ გამოსულა საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს იმისი ილუზია, რომ ამ ფილოსოფიას ყველა მოქალაქე ჩაწვდება. არა, ბატონებო, ეს არ არის ყველასთვის დაწერილი. ის მოაზროვნე და პროგრესული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

არადა, ამის და ბევრი სხვა რამის ცოდნა არ აწყენდა დღევანდელ ჩვენს გზაბნეულ საზოგადოებას.

აქედან გამომდინარე, შევეცდები ოქროს ასოებით შემონახული კლასიკური ფილოსოფიის და დღევანდელი „ფილოსოფიის“ გაანალიზებას. მკითხველებს ბოდიშს ვუხდი აღნიშნული წიგნიდან ვრცელი ციტატების მოხმობის გამო, რომლებიც შეგნებულად არ შემოკვეცია.

იხ. 5-7 გვ.

ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნის ხელისუფალნო, ჩაილულის წყალს ნუ გაატანთ ჩვენი გამდიდრებისა და გაძლიერების რეალურ იდეას!

ალმოვჩნდით. სილატაკე და შიმშილობა (და სხვა უამრავი გარემოება), რაც დღეს სუფევს საქართველოს ისტორიული წარსულიდან, არც ერთ ეპოქაში არ არსებულა.

და ეს იმ პირობებში, როცა ამ ღვთის კურთხეულ ქვეყანას, ისევ უფლის წყალობით, მრავალ სიკეთესთან ერთად, იპოვეს! დაიწყეს მისი მეცნიერული შესწავლა, რადგან მიწისქვეშეთს, მისი რესურსის მოხმარებას თავისი „კანონები“ გააჩნია, რომლის დარღვევა მიწის ზედაპირზე ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების საწინდარია, ამიტომ „მისხალ-მისხალ“ იქნა გათვლილი რესურსული პოტენციალის პარამეტრები და მისი გამოყენების

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წყალი, როგორც სახელმწიფო ძონება, არის საერთო-სახალხო საკუთრება, აძედან გამომდინარე კონცეფცია-პროგრამისა და პროექტის ავტორის მიერ გათვლილი და გათვალისწინებულია. მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მატერიალური ფასეულობა, ანუ სიმდიდრე, რომელიც მიბმულია ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების, ბუნებრივად კვლავწარმოება-განახლების უნარის მძონე სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგებზე და ეს სიმდიდრე გადაანაწილა სრულიად საქართველოს მოსახლეობაზე, რომლის მიხედვით ყოველი მოქალაქე ეტაპობრივად გახდება აქციონერი და მიიღებს ათასობით აშშ დოლარის ღირებულების 1 აქციას.

ყოველწლიურად სარეალიზაციოდ გატანილი 0,75% წყალი შემოიტანს 12 მლრდ. აშშ დოლარს, ბიუჯეტში შევა 2,5-3 მლრდ აშშ დოლარი. ამრიგად, საქართველო უნდა გახდეს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა, რითაც ჩვენი სამშობლო საქართველო გახდება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, დემოკრატიული, სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფო „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით“.

კონცეფცია-პროგრამა შესწავლილი, ექსპერტირებული და მხარდაჭერილია მსოფლიო კაპიტალის ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების მიერ.

სტრატეგიულმა პარტნიორებმა აღიარეს და მიიღეს ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების, მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენებით კაპიტალიზაციისა და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მისი მატერიალიზაციის ტექნოლოგიური მოდელი, რამაც უზრუნველყო ბაზრის სეგმენტის მოპოვება და ინდუსტრიული მშენებლობისთვის საჭირო 5 მლრდ აშშ დოლარით დაფინანსება.

ეკონომიკური შედეგი:

— 18 თვეში საქართველოს მუნიციპალიტეტებში აშენდება მინიმუმ ორი, ხოლო საერთო ჯამში 190-მდე სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ძარხანა;

— პირველ ეტაპზე შეიქმნება 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი;

— დასაქმებულის საშუალო ხელფასი იქნება 1 500 აშშ დოლარის ეკვ/ლ.

— ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი იქნება 12 მლრდ. დოლარის ეკვ/ლ.

— საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად ჩაერიცხება 3 მლრდ აშშ დოლარის ეკვ/ლ;

— შეიქმნება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აშენდება ახალი პორტები და ტერმინალები;

— ასეული მილიონობით ლარი გამოიყოფა სოფლისა და სატყეო მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემების მშენებლობისთვის, მთისა და ბარის კოოპერირებისთვის, საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების მშენებლობისთვის შესაბამისი ურბანისტიკით, ჯანმრთელობის, განათლებისა და მეცნიერების და ა.შ. სტრატეგიული მიმართულებების პროექტების განხორციელებისთვის;

— განსაკუთრებულ ზრუნვის საგნად იქცევა ტყე და სატყეო მეურნეობა როგორც წყლის რესურსების ბუნებრივი განახლების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი. ამიტომაც ყველა დარგზე მეტი თანხების გამოყოფაა დაგეგმილი ტყეების გაშენება-რეაბილიტაციისა და აღდგენა-განახლების სამუშაოებისთვის.

სასმელი წყლის სააქციო საზოგადოებაში ჩართული არიან: საქართველოს ეროვნული აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და სოფლის მეურნეობის აკადემიების აკადემიკოსები, მეცნიერები, პროფესიონალ-პრაქტიკოსები, ინტელექტუალები, მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

ფაქტია, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პროცესმა გადაშენების გზაზე დააყენა მსოფლიოს პატარა ერები, რომელთა რიცხვშია საქართველოც, ეს იმ პირობებში, როცა საქართველოს უმდიდრეს ქვეყნად ქცევის რეალური შანსი გააჩნია მიწისქვეშა სასმელი წყლის რესურსების სახით, რომელიც ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, მსოფლიო მნიშვნელობის მარაგებია.

დადგა ჟამი, რომ ხელისუფლებაც და ხალხიც გონს მოეგოს და გაათვითცნობიეროს:

რომ ქვეყანა, ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა, ხოლო უბრწყინვალესი გამოსავალი სასმელი წყლის პროექტის სახელმწიფო პროგრამად აღიარება და მისი განხორციელებაა.

უნდა გაათვითცნობიეროს ერმაც და ბერმაც, რომ ქართველი ხალხი დაიღალა ამ გაუსაძლის სიდუხჭირესა და ხვალინდელი დღის უიმედო მოლოდინით (ამასაც თუ ცხოვრება ჰქვია), რომ დღითი დღე ივსება „მოთმინების ფიალა“ და თუ ეს ბოლო იმედიც გაგვიცრუვდა, მერე პოლიტიკოსებმა და ხალხის დაქირავებულმა ჩინოვნიკებმა თქვენს თავს მოჰკითხეთ „ამ ქვეყანას ვინ რა არგო“, მაგრამ ეს უკვე ძალიან გვიანი იქნება.

უფლის წყალობის გვჯერა, რომ ერისა და ქვეყნისთვის თავდადებული სახელმწიფო კაცებით — იმ ადამიანებით, ვინც სამშობლოს გადარჩენისა და ხალხის კეთილდღეობის მიღწევის ეს იდეა შეიმუშავა, საქართველო კვლავაც ფეხზე დადგება და იარსებებს უკუნითი უკუნისამდე!

მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას და მოგიწოდებთ, გაერთიანდით სახალხო მოძრაობაში „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“!, რომლის უმთავრესი მიზანია საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანა და მათი კეთილდღეობის ამაღლება. ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, დემოკრატიული, სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით“.

სახალხო მოძრაობაში გაწევრებულია 400 000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე, მსურველებისთვის გაწევრება გრძელდება. მიმართეთ თქვენსავე მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებს.

ჩვენთან არს ღმერთი!

ციალა ბეძურაიძე,
თბილისის ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, გეოგრაფია-კარგოგრაფიის მეცნიერ-მკვლევარი, პროფესორი.

◎ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!

„ახალი როკის გვირაბი“ თუ უსაფუძვლო შიშები?

საღ არის პრობლემა — ინფრასტრუქტურასა თუ მთავრობაში?

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ზამთრობით ის ხშირად იკეტება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრ ადამიანს უწევს სიცივეში ლოდინი, გაუთვალისწინებელი ხარჯის გაღება და სხვა ყოფითი დისკომფორტის ატანა. გზის ჩაკეტვას ასევე მოჰყვება ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი: ფერხდება ტვირთების გადაზიდვა, ხშირ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი მოცდენა იწვევს გადასაზიდი პროდუქციის გაფუჭებას, გადამზიდავებს ეზრდებათ საწვავის ხარჯი და ა.შ.

„ცხადია, მთავრობის მიერ დაანონსებულ პროექტზე მიბმულია ეკონომიკური ინტერესებიც“, — ამბობს ეკონომისტი **გია ჯანდიერი,** რომლის თქმითაც, აღნიშნული გზის გამართული მუშაობით ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან სომხეთი და რუსეთი.

„ამ გზით სარგებლობს ბევრი კომერციული ორგანიზაცია, რომლებსაც ტვირთები გადააქვთ რუსეთიდან სომხეთში და შემდეგ, შესაძლოა, სომხეთიდან, რეექსპორტის სახით, ტვირთების ნაწილი ბრუნდება საქართველოში. ასევე ამ გზას უკავშირდება სამხედრო ტვირთების გადაზიდვის ინტერესი, რადგანაც სწორედ ამ გზის გავლით მარაგდება გიუმრის რუსული სამხედრო ბაზაც“, — ამბობს გია ჯანდიერი.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხს, გია ჯანდიერის თქმით, მთავარი პრობლემა მთავრობის ეფექტიანობას უკავშირდება და არა ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

„უნდა გვყავდეს ეფექტიანი მთავრობა, რომ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს ეფექტიანად ემსახურებოდეს. ასეთ შემთხვევაში ახალი გზა არსებით პრობლემას ვერ შექმნის. თუ ვინმე საუბრობს იმაზე, რომ გზამ შეიძლება უსაფრთხოების პრობლემები შექმნას, ალბათ, საუბრობს იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება მთავრობა იმ შემთხვევაში, თუკი ამ გზაზე მოძრაობა უფრო გამარტივდება. შეიძლება, ბავშვს მისცე იარაღი და მან რაღაც დააშაოს, მაგრამ ზრდასრული ადამიანი ამ იარაღით არც არაფერს დააშავებს. პრობლემა იარაღის მფლობელშია და არა იარაღში“, — ამბობს გია ჯანდიერი.

„ახალი როკის გვირაბის“ შეუძლებლობა

სამხედრო-ანალიტიკურ ჟარნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორის ირაკლი ალადაშვილის თქმით, ზოგადად, ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საომარი მოქმედებების დროს. სამხედრო ექსპერტს მაგალითად მოჰყავს საქართველოს მძიმე გამოცდილება, რომელიც ქვეყანამ ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი რუსეთ-საქართველოს ომში მიიღო.

„აფხაზეთის ომში ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს გაგრა და ამით მოახდინეს სეპარატისტების ჩაკეტვა გუდაუთის მიმართულებით, მაგრამ მალე, რუსების დახმარებით, განხორციელდა შეტევა გაგრაზე, იმისთვის, რომ გახსნილიყო სახმელეთო გზა გუდაუთიდან რუსეთისკენ, რომ მიეღოთ შეიარაღება. იგივე განმეორდა ცხინვალში, როკის გვირაბთან, 1991-92 წლებში, 2004-ში და 2008-შიც, როცა რუსები ღიად შემოიჭრნენ როკის გვირაბის გავლით. მაშინ რომ მწყობრიდან გამოგვეყვანა როკის გვირაბი, რა თქმა უნდა, ეს შეანელებდა რუსეთის სამხედრო აგრესიას, თუმცა, საბოლოო ჯამში, სამწუხაროდ, წარმატებას მაინც მიაღწევდა თუნდაც იმის გამო, რომ საქართველო-სომხეთის საზღვართან უკვე მომდგარი იყო გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზის ჯავშანტექნიკა. ცხადია, ინფრასტრუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს ომის დროს. ამიტომაა, რომ რუსეთი სულ ცდილობს პირდაპირი კავშირები ჰქონდეს ანექსირებულ თუ ოკუპირებულ ტერიტორიებთან. გავიხსენოთ, როგორ მოიქცა ყირიმში, როცა სახმელეთო გზით — ხიდით — დაუკავშირდა ანექსირებულ ტერიტორიას“, — ამბობს **ირაკლი ალადაშვილი,** თუმცა ის ასევე შენიშნავს, რომ კობი-გუდაურის მონაკვეთზე აშენებული გვირაბი ვერ ითამაშებს „ახალი როკის გვირაბის“ როლს მარტივი მიზეზის გამო.

„ჩვენ გვაქვს ოკუპირებული ტერიტორები, სადაც განთავსებულია მე-4 და მე-7 რუსული საოკუპაციო ბაზები. ვიტყოდით, რომ ლარსის მიმართულებით გზისა და გვირაბის მშენებლობა მართლა საშიშია, რუსეთს რომ არ ჰქონდეს პლაცდარმები საქართველოს ტერიტორიაზე. ამაში მდგომარეობს არსებითი განსხვავება 2008 წლამდე ვითარებასა და დღევანდელ ვითარებას შორის. ეს პლაცდარმები რომ არ ჰქონდა, ამიტომ დასჭირდა ოჩამჩირეში დესანტის გადასხმა და როკის გვირაბის გამოყენება აგვისტოს ომში. დღეს, სამწუხაროდ, რუსეთს ეს პრობლემა აღარ აქვს. შესაძლოა, ცხინვალსა და აფხაზეთში დისლოცირებული რუსული ძალების რაოდენობა არ არის საკმარისი ოკუპაციის გასაზრდელად, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი ამ პლაცდარმებზე აუცილებლად გადმოისვრის შეიარაღებას როკის გვირაბით ცხინვალში, ხოლო რკინიგზით — აფხაზეთში. თუ ინფრასტრუქტულ საფრთხეებზე ვილაპარაკებთ, რეალურად, კობის მიმართულებაზე მეტი საფრთხის შემცველია თბილისი-გორის ჩქაროსნული ავტობანი. ამ ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, პირველ რიგში უნდა მოვშალოთ თბილისი-გორის მაგისტრალი, რათა მტერს გაუჭირდეს ცხინვალიდან და ახალგორიდან თბილისისკენ მოძრაობა, მაგრამ ამის გაკეთება არავის მოსდის აზრად, რაც სწორიცაა. მტრის შიშით ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე უარის თქმა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა“, — ამბობს ირაკლი ალადაშვილი.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

◎ „ასტანა-13“

სირია მშვიდობასთან ახლოსაა

უკვე 8 წელიწადზე მეტია, სირიაში სისხლისმღვრელი ომი მძვინვარებს. ძნელია, ერთმნიშვნელოვანი შეფასება მისცე ამ ომს, ერთი მხრივ, მას აქვს სამოქალაქო ომის ყველა ნიშან-თვისება, მეორე — უდავოა ინტენსიური უცხოური ინტერვენცია, სირიის მიწაზე თვითმარქვია „ისლამური სახელმწიფოს“ დროებითი წარმოშობა, რაც ომის არც ერთ ტრადიციულ განსაზღვრებას არ შეესაბამება. მაგრამ, ასეა თუ ისე, 21-ე საუკუნის მსოფლიო გახდა განსაკუთრებით საშინელი, დაუნდობელი და ბინძური ომის მოწმე. ყაზახეთი, რომელსაც, განსხვავებით ყველა სხვა ინტერვენტი ძალისაგან, თავისგან დაშორებულ სირიაში არანაირი ანგარებიანი ინტერესი არ გააჩნია, ყველაფერს აკეთებს მოლაპარაკებების პირობების შესაქმნელად და მშვიდობის მისაღწევად. ყაზახეთის დედაქალაქში უკვე ორიოდე თვის შემდეგ, შესაძლოა, ჩატარდეს სირიის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი. იგი რიგით მე-14 იქნება. შეხვედრების ასეთი რაოდენობა იმას მოწმობს, რომ მხარეები ყაზახური ფორმატის სადიალოგო პლატფორმით კვლავინდებურად დაინტერესებულნი არიან: აზრი არ ექნებოდა ამგვარ მოლაპარაკებებს, ვერ შეგროვდებოდა მომლაპარაკებელთა ასეთი რაოდენობა. ასე და ამრიგად, აგვისტოს ბოლო რაუნდი, რომელსაც მასმედიაში „ასტანა-13“ ეწოდა, შედგა.

სირიის ტელევიზიამ იდლიბში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ჯერ კიდევ ყაზახეთის დედაქალაქში მოლაპარაკებების მსვლელობის დროს. ამ მოვლენას ყველა დიდხანს ელოდა, მიღწეული სიმშვიდე ჯერ კიდევ მყიფეა. სირიის ჩრდილოდასავლეთით მდებარე იდლიბის პროვინციაში, სხვადასხვა მონაცემებით, მილიონნახევრიდან სამ მილიონ ადამიანამდე ცხოვრობს. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, იდლიბი განიცდის დიდ ჰუმანიტარულ კრიზისს.

გაეროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ჰუმანიტარულ საკითხებში გაეროს გენმდივნის მოადგილისა და გაეროს საგანგებო დახმარების კოორდინატორის მარკ ლოკოკის სიტყვა, რომლის ავტორიც იმ მომენტში ამბობდა, რომ ვითარება იდლიბში ყველაზე უარესი სცენარის მიხედვით ვითარდება. **„მშვიდობიანი მოსახლეობა ხარკს იხდის პოლიტიკოსების უუნარობაში, დაასრულონ ძალადობა და მიაღწიონ საერთაშორისო სამართლის აღსრულებას, რომელიც საომარი ქმედებების პირობებში სამოქალაქო პირების დაცვას გულისხმობს“,** — აღნიშნა მან. ლოკოკის სიტყვის საკვანძო აზრია პოლიტიკოსების უძლურება, შედეგს მოლაპარაკებების გზით მიაღწიონ. ამ მხრივ, ყაზახეთის დედაქალაქის პლატფორმა სწორედ ის ადგილია, სადაც შეიძლება კომპრომისული გადაწყვეტილების გამოძებნის ცდა. ეს მით უფრო, როცა ნურ-სულთანში გამართული მოლაპარაკებების მონაწილეები დაინტერესებულნი არიან სირიაში სამართალი მოქმედებების შეწყვეტით იმის გამო, რომ ომი მათსავე ქვეყნებში უქმნის საფრთხეს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

მოლაპარაკებების მაგიდას კონფლიქტის სხვადასხვა მხარეები მიუსხდნენ — სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გაეროში სირიის არაბული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი ბაშარ ალ-ჯაფაარი და შეიარაღებული ოპოზიცია აჰმად ალ-ტუმას ხელმძღვანელობით. გარანტორ ქვეყანათა შორის რუსეთის დელეგაციას ხელძღვანელობდა სირიის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ალექსანდრ ლავრენტიევი. თურქეთის დელეგაციის მეთაური გახლდათ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სედათ ონალი, ხოლო ირანული დელეგაცია წარმოდგენილი იყო ისლამური რესპუბლიკის, პოლიტიკურ საკითხებში საგარეო საქმეთა მინისტრის უფროსი თანაშემწის, ალი ასგარ ჰაჯის დონეზე. ყაზახეთში შეხვედრებზე ჩამოვიდა გაეროს დელეგაცია ჰავლა მატარის ხელმძღვანელობით, რომელიც სირიის საკითხებში გაეროს სპეცწარმომადგენლის მოადგილეა (თავად სპეცწარმომადგენელი გეირ ო. პედერსენი ნურ-სულთანში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ჩავიდა). მოლაპარაკებების მრგვალ მაგიდას ყაზახეთის დედაქალაქში ასევე მიუსხდნენ ლტოლვილთა საქმეებში გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოსა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის, ასევე იორდანიის სამეფოს წარმომადგენლები.

პირველად ასტანის ფორმატში მოლაპარაკებებს შემოუერთდნენ ლიბანი და ერაყი. ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ასტანის წინა შეხვედრის შედეგად იქნა მიღებული. ოფიციალური ბეირუთისა და ბაღდადის ინტერესი გასაგებია — ეს ქვეყნები სირიის გეოგრაფიული მეზობლები არიან და მათი მიზანია, რაც შეიძლება მალე დარეგულირდეს სირიელი ლტოლვილების დაბრუნების საკითხი და აღდგეს საიმედო და ეკონომიკურად სტაბილური ურთიერთობები მეზობელ სირიასთან.

თუმცა იდლიბთან დაკავშირებული შეთანხმების მიღწევა არ არის ნურ-სულთანში გამართული მოლაპარაკებების მთავარი შედეგი. საქმე ეხება სირიის საკონსტიტუციო კომისიის შექმნას. კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ რუსმა დიპლომატებმა განაცხადეს ორ წელიწადზე მეტი ხნის წინ. ახალმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. მაგრამ კომისიის შესაძლო წევრების განხილვის პროცესში მოლაპარაკებები იმჟამად შეფერხდა. და აი, პირველი სერიოზული პროგრესი კომისიის შექმნის საკითხში, სწორედ ნურ-სულთანში გამართული მოლაპარაკებების შედეგად გამოვლინდა. ექსპერტებს უკვე სავსებით რეალურად მიაჩნიათ, რომ სირიის საკონსტიტუციო კომისიის ჩამოყალიბების პროცესის დასრულება ამა წლის სექტემბერშიც შეიძლება.

ყაზახეთმა ხელსაყრელი პირობები, დადებითი აურა შექმნა მოლაპარაკებების წარმატებისათვის. მაგრამ საქმე მხოლოდ აურაში არ გახლავთ, არამედ ყაზახეთის ხელმძღვანელობის და დიპლომატების თავდაუზოგავი შრომის დამსახურებაცაა.

გულბაათ რცხილაძე

აფეთქება სევეროდვინსკში

სევეროდვინსკში აფეთქების შემდეგ, რადიაციის დონის მონიტორინგისთვის განკუთვნილი ახლომდებარე სადგურები მწყობრიდან გამოვიდა. ამის შესახებ ბირთვული ცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ლესინ ზარბომ განაცხადა. მისივე თქმით, რუსმა მაღალჩინოსნებმა აღნიშნული შეფერხება ქსელთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემებით ახსნა. თავად ზარბო არ აკონკრეტებს, რას შეეძლო, გამოეწვია შეფერხება. როგორც გამოცემა „ვოლ სთრით ჯორნალი“ წერს, რადიაციის დონის განმსაზღვრელი სადგურები საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში შედის. ეს ქსელი მონიტორინგს უწევს სეისმურ ძვრებს, ბგერით რყევებს და სხვა ცვლილებებს, რომელიც ბირთვულ ცდებს უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ არხანგელსკის ოლქში მდებარე სამხედრო პოლიგონზე აფეთქება 8 აგვისტოს მოხდა. დაიღუპა „როსატომის“ ხუთი თანამშრომელი. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფეთქების დეტალები არ გაასაჯაროვა. „როსატომი“ ამტკიცებს, რომ აფეთქება რეაქტიულ დანადგართან მუშაობის დროს მოხდა. რუსეთის ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ აფეთქების დროს სევეროდვინსკსა და მის შემოგარენში რადიაციის დონემ ნორმას 16-ჯერ გადააჭარბა. გამოცემა „მოსკოვ თაიმსის“ ცნობით, ექიმები რომლებიც აფეთქების შემდეგ დაზარალებულებს მკურნალობდნენ, რადიაციული დაბინძურების საფრთხის შესახებ არ გაუფრთხილებიათ. „ნიუ იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, რუსეთის სამხედრო პოლიგონზე აფეთქება, სავარაუდოდ, რაკეტა „ბურევესტნიკის“ გამოცდის დროს მოხდა, რომელიც ბირთვული დანადგარითაა აღჭურვილი.

ლავროვი: რუსეთი მოლდოვას შემადგენლობაში დნესტრის-პირეთის დაბრუნების მომხრეა

რუსეთს არ უცნია დნესტრისპირეთი, თუმცა გამოდის ამ რეგიონში კონფლიქტის დარეგულირებისა და დნესტრისპირეთის სუვერენულ, ნეიტრალურ და უბლოკო მოლდოვის შემადგენლობაში დაბრუნების მომხრედ.

ამის შესახებ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა მოსკოვის ოლქში გამართულ ახალგაზრდობის საგანმანათლებო ფორუმზე, კითხვებზე პასუხის გაცემისას. — ამის თაობაზე მოლდოვური infotag.md იუწყება „Полит-Навигатор“-ზე დაყრდნობით.

„უმთავრესი პრინციპული საკითხია დნესტრისპირეთის რესპუბლიკის განსაკუთრებული სტატუსი მოლდოვას შემადგენლობაში, იმაში დარწმუნებასთან ერთად, რომ მოლდოვა ინარჩუნებს თავის სუვერენიტეტს, ანუ არ იქნება არავის მიერ ჩაყლაპული, როგორც სახელმწიფო და იმის გაგებით, რომ ექნება ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი, ანუ არ გაერთიანდება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში“, — ხაზგასმით განაცხადა ლავროვმა.

მისი სიტყვებით, ამასთან დაკავშირებული პრინციპები ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში იყო შეთანხმებული და მათ საფუძველზე მომზადებულ იქნა ხელმოსაწერად დოკუმენტი ე.წ. კოზაკის გეგმა.

„ეს დოკუმენტი პარაფირებულ იქნა, როგორც ტირასპოლში, ისე კიშინიოვში, მაგრამ ბოლო მომენტში, ხელმოწერამდე სულ რამდენიმე საათით ადრე, ბრიუსელიდან ჩვენმა ევროკავშირელმა კოლეგებმა მოლდოვის იმდროინდელ პრეზიდენტ ვორონინს ამ დოკუმენტზე ხელმოწერა აუკრძალეს იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური წარმატება იქნებოდა“, — თქვა ლავროვმა, მიუთითა რა იმ „კრიტერიუმებზე, რომლებითაც ხშირად ხელმძღვანელობენ დასავლელი პარტნიორები თანამედროვე მსოფლიოს კრიზისებთან მიმართებაში“.

BFM.GE:

infotag.md და „ПолитНавигатор“ არ არიან აღიარებული გამოცემები, მაგრამ არიან რეალური მედიასაშუალებები. ამდენად, მათ მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ. რუსეთი, პოსტსაბჭოთა სივრცესთან მიმართებით, თავის სტრატეგიულ ხაზს აგრძელებს და ცდილობს, გამოიყენოს გაყინული კონფლიქტები ამ არეალში თავისი გავლენის გასაძლიერებლად. თუ იგი თუნაც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში შექმნის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პრეცედენტს, საქართველოსა და უკრაინაში მისი გავლენის ზრდის პროცესის შეკავება გართულდება, უბლოკო სტატუსი კი ამ ქვეყნებისთვის უფრო ეფექტური სატყუარა შეიძლება აღმოჩნდეს.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

„...და გარეთ-უბანი არს ტფილისსა“ — ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)

სოლოლაკის ქედსა და მტკვრის კალაპოტს შორის, საუკუნეები არსებობდა გარეთუბანი. იგი კალას გალავნის გარეთ იყო მოქცეული და როგორც ხვდებით, სახელწოდებაც აქედან მოდის. ტერიტორია არქეოლოგიურად დღემდე შეუსწავლელია, მაგრამ შემთხვევითი აღმოჩენებით გარეთუბანში ნაპოვნია (ს. ჯანაშიას სახ. ეროვნული მუზეუმის საძირკველი) ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლები, მილიანი ჭრაქები, მოჭიქული ჯამები და ძვ.წ. მონეტებიც კი.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით გარეთუბნის ტერიტორიაზე ოდითგანვე მდგარა ქაშუეთის, სამებისა და წმ. გიორგის ტაძრები. აქვე, ფართოდ გაშლილ ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში ყოფილა „ასპარეზი“ (ყაბახი), ანუ ადგილი, სადაც იმართებოდა ჯირითი და ბურთაობა, მოკლედ ყოველგვარი შეჯიბრი. მოგვიანებით გარეთუბანში გზას გაიყვანენ, აშენდება ევროპული სტილის შენობები და ისტორიული ასპარეზის ნაწილი ალექსანდრეს მოედნით შეიცვლება; შემდგომ აქ ალექსანდრეს ბაღი გაშენდება, სადაც ტფილისელი „Статс-Дамы“ და „Модные Барышни“ ისეირნებენ დილა, შუადღე, საღამოს. ეს ყველაფერი XIX საუკუნეში მოხდება და ამის შესახებ შემდგომ თავებში გიამბობთ, მაგრამ მოით ეხლა, მოქუჩდით და XVIII საუკუნის გარეთუბნის ისტორიას მოგითხრობთ.

თავიდანვე გეტყვით, რომ გარეთუბანზე გადიოდა ისტორიული „დიღმის გზა“, რომლის ორივე მხარეს ტფილისელებს ბაღ-ვენახები კი ჰქონდათ გაშენებული, მაგრამ გარეთუბანს ქალაქად გადაქცევა ხომ არა და არ ეწერა, ქვეყანაში არსებული რთული ვითარებებისა და გამო...

მხოლოდ XVIII საუკუნიდან აიგება გარეთუბანში წარჩინებულ ქართველთა სასახლეები და აქ მალევე გაჩნდება მცირე უბნებიც — მუხრანბატონის, ორბელიანის, ვანქის (თუ არანცვანქის?!), კალოს, წყლის კარის, შუა კარის და თქვენ წარმოიდგინეთ ბოშის უბანიც კი.

ჰოდა, მოით, მოგიყვეთ თითოეულ მათგანზე.

დავიწყებ მუხრანთუბნით — XVI-XVII საუკუნეებში მუხრანბატონები ქართლის ხუთ დიდებულ თავადთა რიცხვში შედიოდნენ. მათი წინაპარი ქართლის მეფე დავით X ყოფილა (XVI ს.), რომელმაც ძმას, ბაგრატს, დიდი მამულები უბოძა. მოკლედ, გარეთუბნის მუხრანთუბანი ეს დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩა გახლავთ მისი მიმდებარე ტერიტორიებით და რომლის შესახებ შემდგომ თავებში დაწვრილებით გიამბობთ, მაგრამ ეხლა მოკლედ გეტყვით, რომ XVIII-XIX საუკუნეებში სწორედ აქ მდებარეობდა „მუხრანის გალავანი“, „მუხრანის ხიდი“, „მუხრანის ბორანი“, „მუხრანის კარი“ და რა ვიცი, რა აღარ?!

ვანქის სამონასტრო კომპლექსი

გადავდივარ ორბელიანების უბანზე (ათონელის ქ. მიმდ. ტერიტორია) — **„ჩვენი ... მეფეთ მეფენმან... თეიმურაზ... გიბოძეთ 1751 წელსა... ჩვენის კარის მეწინავეს სარდალს დიდებულს თავადს ორბელიანს რევაზს... გარეთუბანს მეიდნის პირზედ ჩვენი სახასო სასახლის ადგილას...“,** მოკლედ, ისაოესაო და 1751 წელსო, ქართლის მეფემ თეიმურაზ II-მ რევაზ ორბელიანს საკუთარი მამული უწყალობაო. თურმე, ორბელიანები ქვემო ქართლის აოხრების შემდეგ გადმოსახლებულან ტფილისში და XVIII-XIX სს. საქართელოში სახლთუხუცესები და მდივანბეგები ყოფილან.

„...მშვენიერი ტფილისი... გარშემორტყმული გარეუბნებითა და ურიცხვი სიმაგრეებით. მცხოვრებნი ქრისტიანები არიან: ქართველები და სომხები, არიან აგრეთვე ცოტაოდენი სარკინოზნი (მაჰმადიანი) და ურიები!“ — ეს მარკო პოლოს სიტყვები გახლავთ, რომელმაც XIII საუკუნის ტფილისი ესე აღწერა. სომხები ვახსენე და მოდით ვანქის თუ არანცვანქის უბანსა და ტაძარზე გიამბობთ. ეს ვანქის თუ არანცვანქის ტაძარი (ვახ, ეს ორი სათაური!) სავარაუდოდ, ფაშა-ვანქის მიერ აშენდა XIV საუკუნის დასაწყისში (ნ. ბარათაშვილისა ქუჩისა და სანაპიროს კუთხის სახლის მიმდ. ტერიტორია). „სავარაუდოდ“ ვამბობ, რადგან ვინ, როდის და როგორ ააშენა სამონასტრო კომპლექსი დღემდე სადაოა. „...XIV საუკუნის ბოლოს უმეკ სადჯაატის შვილიშვილებმა... ტფილისს ააშენეს მონასტერი არანცვანქი...“. ვახ, ეხლა მოდი და გაიგე სიმართლე?! მით უმეტეს, რომ არსებობს კიდევ სხვა წყაროებიც. მოკლედ, წყაროებით არ დაგღლით და გეტყვით — ვანქის ტაძარი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაუნგრევიათ XX საუკუნის 30-იან წლებში და რომლის „არხიტეკტურობით დიდ მშვენნი“ სამრეკლო დღემდე შემორჩა ჩვენ თბილისი-ქალაქს...

კიდევ რა დამრჩა თქვენთვის სათხრობი?!

მაშ, მოდით, ეხლა მოგითხრობთ შუა კარისა და წყლის კარის უბნებზე (და არ დამავიწყოთ — ბოშის უბანი). აქ კი მოსაყოლი დიდად არც არაფერია. შუა კარი ყოფილი დიღმის კარი გახლავთ, წყლის კარი კი — მუხრანის კარი და სულ ესაა.

ო-ო, ბოშის უბანი! აი, ბოშათა უბანი კი ვანქის უბანს ემიჯნებოდა ისტორიულად. ყოველშემთხვევაში, ესე მოიხსენიება XVIII-XIX სს. წყაროებში და მეტსაც გეტყვით — ამ წყაროებში ერთი-ორი ბოშის სახელიც კი აღმოვაჩინე. აი, ისინიც — ბოშა მურადა და ბოშის შვილი სოსია (მეტი რაღა გინდათ?! მურადა და სოსია ისტორიაში შესულან!).

დასასრულს გეტყვით, რომ ვახუშტისეული ტოპონიმი „გარეთ-უბანი“, საბოლოოდ, XIX საუკუნის 50-იან წლებში გაქრება ტფილისიდან ...

◎ თეთქმის ნატურიდან

მწერალი



გუშინ ვერაზე, ადრინდელ პრესის სახლთან, ზუსტად იმ სახლთან, დამთხვეულმა სააკაშვილმა გამომცემლობა და რედაქციები რომ გამოყარა, ნაცნობ მწერალს შევეფეთე, შემოქმედს ნერვიულობისგან სახე მოღმეჭოდა.

— რა დაგემართა? — ვკითხე.

— ძლივს გადავრჩი, გამომეკიდნენ, — ამოილუღლუღა.

— ვინა კაცო, ყაჩაღები?

— არა, ანტისოროსელები.

— შენგან რა უნდოდათ?

— ვერ დავადგინე, მე სოროსის დაპატენტებულ არასამთავრობო შპს-ში ვაპირებდი შევლას, ისინი კიდევ ამათ აგინებდნენ — თქვე სოროსის მოსყიდულო ქვეყნის გამყიდველებო, წაეთრიეთ საქართველოდანო!..

— ეტყობა, თავად სოროსი ეგონე!

— არა, ავუხსენი მწერალი ვარ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს — შენ თუ ეროვნული მწერალი ხარ, სოროსელ არასამთავრობოელებთან რას მიძვრებიო.

— როგორ კაცო, — გავიკვირვე, — ჩვენი მთავრობა მაგათთან ჩახუტებულია და მე რატომ უნდა ვიყო უმძრახად-მეთქი... ის ხალხი ამან სულ გადარია — იქ მთავრობის დედა და აქ კიდევ შენიო! ერთმა გინებას მუშტიც მოაყოლა, ძლივს გამოვასწარი.

— ახია შენზე, ახი, — არასამთავრობოელებთან რა გინდოდა, რისთვის მიხვედი?

— აბა, რისთვის მივიდოდი? ვიცი, ფული ოხრად აქვთ და სამათხოვროდ მივედი. რა დაგიმალო, მშიერი ვარ, ხანდახან ისეთ ხასიათზე ვდგები, მეც დიდი სიამოვნებით შევაგინებდი ამ მთავრობას, მაგრამ ინტელიგენტი ვარ და არ ვკადრულობ.

— კაცო, თქვენც ხომ გაქვთ მწერალთა კავშირი, რატომ არ მიაკითხე?

— კავშირი კი გვაქვს, მაგრამ რად გინდა, ყულაბაში გახვრეტილი ლარიანიც არ უგდიათ.

— მწერალთა აკადემიაც ხომ გაქვთ, შენც იმათთან მისულიყავი.

— ახლოსაც არ გვიკარებენ, დაჭაობებული ორგანიზაცია ხართო.

— დაჭაობებულიო?! ესე იგი გომბეშოები ხართო?

— ჰო, ასე გამოდის, თვითონ კალმახები არიან, ჩვენ — გომბეშოები!

— გასაგებია, მაგრამ სოროსელებთან რომ გარბოდი, რისი იმედი გქონდა, შენ გასაჭირს რომ გაიგებდნენ, დოლარების ფუთას მოგიგდებდნენ?!

— ვიცი და ამიტომაც საკუთარი პროგრამით მივდიოდი.

— თუ საიდუმლო არ არის, რა გიწერია მაგ პროგრამაში?

— ახალი მოთხრობების ნუსხას ვთავაზობდი.

— არ გამოვა, — ვუთხარი მოჭრილად.

— რა არ გამოვა?

— მოთხრობები.

— შენ არხეინად იყავი, პირველად ხომ არ ვწერ?

— პირველად რომ არ წერ, სწორედ მაგიტომ გეუბნები, მაგათ სულ სხვანაირი მოთხრობები უნდათ.

— მაინც როგორი?

— აი, ისეთი... სიურრეალისტური, მოთხრობების გმირს არც სამშობლო უნდა ჰქონდეს, არც ეროვნება, არც სქესი და არც სარწმუნოება, მშობლებსაც უნდა აგინებდეს...

— ეგრეთებს ახალგაზრდები წერენ, რამდენიმე თქვენს გაზეთშიც წავიკითხე.

— მაგიტომ გეუბნები, შენ ეგრეთ ბელეტრისტიკას ვერ შესწვდები.

— მაგას თავი გაანებე, კაცო, ვკითხულობ და ერთთავად ვიფურთხები.

— შენც ნუ წაიკითხავ, ბოლოს და ბოლოს მწერალი ხარ, მკითხველი ხომ არა.

ამასთან დაკავშირებით, მწერალს რაღაც გაახსენდა: — ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთ სამკითხველოში ერთი დიდად პატივცემული პროზაიკოსის ახალი რომანის განხილვა მოაწყვეს. კი მოაწყვეს, მაგრამ დიდად უხერხული ვითარება შეიქმნა.

— რის გამო?

— ისევ და ისევ უსახსრობის გამო... წარმოგიდგენიათ? დამსწრეთაგან რომანი წაკითხული არავის ჰქონდა!

— მერე რა ქენით?

— ავტორს ვთხოვეთ და რომანის მოკლე შინაარსი მოგვიყვა.

— გამომსვლელებიც იყვნენ?

— აბა, როგორ?! ერთმა ავტორს კრიტიკული შენიშვნებიც კი შეჰბედა. ბუნებრივია, მწერალმა ეს იუკადრისა, თქვე დალოცვილებო, წიგნი არ წაგიკითხავთ და რა უფლებით მაკრიტიკებთო?! — ამაზე ორივემ გულიანად ვიცინეთ.

მწერალმა მომენტი იპოვა და დამშვიდობებისას შემომაპარა: თქვენს გაზეთში ერთ-ორ მოთხრობას ხომ არ გამომიქვეყნებთო?

— გვღუპავ, ძმაო?! ახლებური მოთხრობის დამწერი შენ არა ხარ და ისედაც შეთხელებული მკითხველი გინდა დაგვაკარგვინო?! — ვუთხარი მე...

ოთარ ხუციშვილი

◎ თაობა

შოთაძის დუბლი

ლანჩხუთელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი შოთაძე თვენახევრის წინათ ესპანურ პონტევედრაში გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

და აი, უნიჭიერესი ქართველი „კლასიკოსის“ ახალი მიღწევა – ამჯერად მან ტალინის ხალიჩაზე დასრულებული თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ააჟღერებინა ფორუმის ორგანიზატორებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი. ესტონეთში „ჯვაროსანმა“ დამაჯერებლად სძლია პოლონელ, ჩინელ, უკრაინელ და ამერიკელ მეტოქეებს, ხოლო ფინალში 6:3 მოუგო სომეხ ფალავან შანთ ხაჩატრიანს.

ქართულ დელეგაციას კიდევ ორი „ვერცხლი“ ხულოელმა ლერი აბულაძემ (63 კგ) და გარდაბნელმა გიორგი ქაცანაშვილმა (87 კგ) შეჰმატეს.

გუნდური ჩათვლა: რუსეთი (157), ირანი (121), თურქეთი (117), საქართველო (მთავარი მწვრთნელი რევაზ ლაშხი) – 91 ქულა.

კობა კობახიძე

◎ ძალოსნობა

ჩემპიონობა ახალი მიღწევით

ოლიმპიურ ჩემპიონ ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის სასახლეში დამთავრდა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 12 ქალაქისა და რაიონის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ. ქართველმა გოლიათმა 219 კილოგრამი აიტაცა, რაც საქართველოს რეკორდია და ლაშას მიერ წლეულს გაზაფხულზე ბათუმის ევროპის ჩემპიონატზე ამ მოძრაობაში ნაჩვენებ მსოფლიოს მიღწევას კილოგრამით აღემატება, თუმცა, ის მსოფლიოს რეკორდად არ ჩაითვლება, რადგან საქართველოს პირველობა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში არ შედის და არც უცხოელი არბიტრები ემსახურებოდნენ. ეს წარმატება მან რიოს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების (2016 წლის 16 აგვისტო) სამი წლისთავს მიუძღვნა.

ფრენბურთის სასახლის ფიცარნაგზე ლაშას აკვრასა (255 კგ) და ორჭიდში (474 კგ) რეკორდებზე იერიში არ მიუტანია. ეტყობა, აქ ახალ მიღწევებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სიურპრიზად ინახავს. ამ შეჯიბრებას 16-27 სექტემბერს საკურორტო ქალაქი პატაია (ტაილანდი) უმასპინძლებს.

ტალახაძის გარდა, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: გიორგი დოკვაძე (საჩხერე, 55 კგ), შოთა მიშველიძე (ქუთაისი, 61), გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი, 67), არჩილ მალაყმაძე (აჭარა, 73), ლომია თებიძე (აჭარა, 81), რეზი დავითაძე (თბილისი, 89), ირაკლი გობეჯიშვილი (ქუთაისი, 96), ანტონ პლესნოი (თბილისი, 102), აკაკი ტალახაძე (საჩხერე, 109); **გოგონები:** 1. მარიამ მაისურაძე (წყალტუბო); 2. ნათია გადელია (ზუგდიდი); 3. მარიამ მურღვლიანი (ხონი).

ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატზე სინკლერის სპეციალური ცხრილით საუკეთესო ექვსეულიც გაირკვა: 1. ლაშა ტალახაძე (474,0 ქულა), 2. ანტონ პლესნოი (434,74), 3. რევაზ დავითაძე (425,17), 4. შოთა მიშველიძე (424,83), 5. არჩილ მალაყმაძე (410,80), 6. გოგა ჩხეიძე (406,2).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. აჭარა (246 ქულა), 2. ქუთაისი (241), 3. საჩხერე (236).

ლაშა დიდია

◎ წყალბურთი

საქართველო მეათეა

საქართველოს 17-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც თბილისის ოლიმპიურ აუზში გაიმართა, მეათე ადგილი დაიკავა. ჩვენმა ბიჭებმა ჯგუფური ეტაპის სტარტზე რუმინეთს სძლიეს – 12:10, შემდეგ მსოფლიოს და ევროპის შარშანდელ ჩემპიონებთან – მონტენეგროსა (5:9) და საბერძნეთთან (7:18) დათმეს შეხვედრები, პლეი ოფში გერმანიასთან დამარცხდნენ – 6:11, მომდევნო მატჩში მალტას აჯობეს – 7:4 და მეცხრე ადგილისთვის ორთაბრძოლა ხორვატებთან წააგეს - 6:11.

ევროპის ჩემპიონობა იტალიელებმა (ლუკა კასტორინა, ფრანჩესკო ლორენცო კასია, ანდრეა მლადოსიჩი, ტომაზო ჯიანაზა, დავიდე ოჩიონე, ფრანჩესკო კონდემი, ალესიო კალდიერი, ლუკა სილვესტრი, მატეო იიჩი გრატა, ფილიპო ფერერო, დანიელე დე გრეგორიო, ჯაკოპო პარელა, რობერტო სპინელი) მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში ესპანეთს აჯობეს – 10:6. ბრინჯაოს მედლები საბერძნეთის მძლეველ (11:10) უნგრეთს ერგო. საბოლოოდ პირველობაძე ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: იტალია, ესპანეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, მონტენეგრო, სერბეთი, გერმანია, რუსეთი, ხორვატეთი, საქართველო, ჰოლანდია, მალტა, საფრანგეთი, თურქეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი.

ლექსო ცინცაძე

◎ ვლადიმერ უგრეხელიძე – 80

„პტიცა“ დედამიწის მიზიდულობის კანონს ეწინააღმდეგებოდა

ქართველ კალათბურთელთა დიდი თანავარსკვლავედის წევრ ვლადიმერ უგრეხელიძეს 18 აგვისტოს 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი 1939 წელს დაიბადა თბილისში. კალათბურთში ვარჯიში 17 წლისამ დაიწყო. 1958-1974 წლებში თბილისის „დინამოს“, ხოლო 1960-1965 წლებში საკავშირო ნაკრების სპორტულ ღირსებას იცავდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ოქროს (1968 წ.), ოთხჯერ კი ვერცხლისა (1959-1961, 1969) და ერთხელ ბრინჯაოს (1965) მედალი დაიმსახურა. 1962 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა 1969 წელს საბჭოთა კავშირის თასიც მოიპოვა და იმავე წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში ითამაშა. 1961 წელს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა, რომის ოლიმპიურ თამაშებზე (1960) ვერცხლის, ხოლო სამი წლის შემდეგ ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ერგო. 1971 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ბავშვობისას პლეხანოვზე ცხოვრობდა და „არტოს“ ბაღში მიხეილ შიშოვთან დადიოდა ჭადრაკის სექციაზე. პირველ თანრიგამდეც მიაღწია, მაგრამ მერე მძლეოსნობამ გადასძალა – თარჯრბენსა და სიმაღლეზე ხტომაში ცდიდა ძალებს. 180 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას მრავალგზის გადავლებია. ამის შემხედვარე ერთ-ერთ თანაკლასელს წამოუძახია: ნახეთ, რა ჩიტივით გადააფრინდაო. მაშინ შერქმეული მეტსახელი „პტიცა“ სიცოცხლის ბოლომდე შერჩა და ამართლებდა კიდეც – ბურთიანად ჰაერში რამდენიმე წამს ჩერდებოდა.

მძლეოსნობაში კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა დიდხანს არც „სპორტის დედოფალს“ შერჩენია - ფრენბურთში დაიწყო ვარჯიში. მალე საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს და სწორედ ამ დროს კიდევ ერთხელ შეიცვალა „პროფილი“ – მეგობრების რჩევით მიხეილ კეკელიძესთან კალათბურთში ამოყო თავი. 1958 წელს „დინამოს“ მაისურა მოირგო და 16 წელიწადი ღირსეულად ატარა ის.

კარიერის განმავლობაში არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია, თუმცა, ოლიმპიური „ვერცხლი“ ყველაფერს ერჩივნა. ალბათ იმიტომაც, რომ იტალიის დედაქალაქში ისეთი ამბავი გადახდა, რომ ძლივს გადაურჩა სიკვდილს: საბჭოთა ნაკრებს ჯგუფში ბოლო შეხვედრა პუერტორიკოელებთან ჰქონდა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე საბჭოელები წინ იყვნენ – 96:63. მორიგი იერიშისას პარტნიორებმა მეტოქის საჯარიმოში ბურთი უგრეხელიძეს გადააწოდეს და იგი ჰაერში აიჭრა. ამ დროს პუერტორიკოელმა მცველმა ფეხზე წაატანა ხელი. წონასწორობადაკარგული ქართველი კალათბურთელი კალათს ჩამოეკიდა და ფარის კონსტრუქცია უმალ ჩამოშვავდა. უგრეხელიძე და ვალტინი თვალის დახამხამებაში რკინის კარკასის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. საბედნიეროდ, ორივე ისე გადარჩა, რომ არაფერი დაშავებიათ. ორი საათის შემდეგ კონსტრუქცია აღადგინეს და კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გუნდებს შეხვედრის დასრულების უფლება მისცა. კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი სსრკ-ის ნაკრებმა 100:63 მოიგო. ვლადიმერ უგრეხელიძემ, გურამ მინაშვილმა და მათმა თანაგუნდელებმა მომდევნო ეტაპზე ამერიკელებთან წააგეს (57:81), რადგან კალათბურთის მომავალი ვარსკვლავების – ოსკარ რობერტსონის, ჯერი ლუკასის, ჯერი უესტისა და ტერი ჟილბერტ დისჩინგერის შეჩერება შეუძლებელი გახდა.

საბჭოელებმა ბოლო მატჩში იტალიელები დაჯაბნეს და მეორე ადგილი დაიკავეს. 1963 წელს გურამ მინაშვილმა, ვლადიმერ უგრეხელიძემ და ანზორ ლეჟავამ საბჭოთა ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა საელჩოში ბანკეტი გაიმართა, სადაც უგრეხელიძემ შემთხვევით რაჭველი მზარეული გაიცნო. რომ გაიგო, ქართველები იყვნენ, მწვადითა და საფერავით ცალკე ოთახში გაუშალა სუფრა. რამდენიმე ჭიქა ღვინომ თავისი ქნა და სიმღერა შემოსძახეს. მერე ცეკვაც გააჩაღეს. მალე სამთავრობო ბანკეტი ლხინად აქციეს.

– მეორე დილით დელეგაციის ხელმძღვანელმა სემაშკომ, რომელიც ქართველთა მოძულეობით იყო ცნობილი, ჩემთან ოთახში შემოხვალთო, გამოგვიცხადა. ანზორმა გვითხრა, ჩვენი კალათბურთი დამთავრდაო. ფეხათრევით შევედით სემაშკოს ოთახში. იგი ღიმილით შემოგვეგება და დელეგაციის სახელით მადლობა გამოგვიცხადა. დაბნეულობა რომ შეგვატყო, განგვიმარტა, საბჭოთა ელჩს თქვენი გუშინდელი მხიარულება მოეწონაო. ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ასე დავიმსახურეთ ქეიფისთვის ოფიციალური მადლობა, – გაიხსენა ერთხელ ჩემთან საუბრისას ვლადიმერ უგრეხელიძემ.

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატი წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ედგა სათავეში.

სახელოვანი კალათბურთელი ვლადიმერ უგრეხელიძე სიცოცხლის 70-ე წელს – 2009 წელს 3 თებერვალს გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

◎ ჩოგბურთი

ცივაძე პირველია



უკრაინულ ირპინში გამართულ ჩოგბურთელ ვაჟთა 15.000-იანი საერთაშორისო ტურნირის წყვილთა შჯიბრებაში თბილისელი გიორგი ცივაძე მასპინძელ ვლადისლავ ორლოვთან ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი. ქართულ-უკრაინულმა ტანდემმა ზედიზედ აჯობა იგორ კარპოვეცსა და ვლადისლავ ლობაკს (ორივე – უკრაინა) – 7:6, 6:0, ვლადისლავ გოროდინსკისა (უკრაინა) და ტიმურ მაულენოვს (ყაზახეთი) – 7:6, 6:1, ფრანჩესკო ბესირესა (იტალია) და ოლექსი კრუტიხს (უკრაინა) – 6:4, 7:6; საგადათ აიარსა (ყაზახეთი) და ვასკო მლადენოვს (ბულგარეთი) - 1:6, 6:3, 10:5 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

გივი გაგუა

◎ კუმ ფეხი გამოყო...

ფაშისტები თქვენს პარტიაში მოიკითხეთ!!!

საქართველოს პარლამენტის წევრმა რომან გოცირიძემ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას კრიტიკული წერილით მიმართა. დეპუტატმა „Facebook“-ის პირად გვერდზე დაწერა, რომ „დინამოს“ მმართველები UEFA-სგან მიღებულ სანქციებზე პასუხისმგებლობას არ იღებენ და იმის ნაცვლად, რომ გულშემატკივართა ნაწილის ფაშისტური გამოხდომების გამო ბოდიში მოიხადონ, მათ გამართლებას ცდილობენ.

ცხადია, პოლიტიკოსის ამ განცხადებას კლუბის მყისიერი გამოხმაურება მოჰყვა. თბილისის „დინამოს“ ოფიციალურ გვერდზე დაიწერა, რომ კლუბი UEFA-ს სანქციებს უსამართლოდ მიიჩნევს.

„ბატონო რომან, ტალახის სროლა და დადანაშაულება ძალიან მარტივია. რატომღაც, შეწუხდით და თბილისის „დინამოს“კრიტიკით დაკავდით, თუმცა, თავი არ შეგიწუხებიათ და არ მოგიკითხავთ კლუბის წარმომადგენლებთან, თუ რა მოხდა.

„დინამო“ მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა უსამართლო სანქცია, რადგანაც ავადსახსენებელი ბანერი ბევრჯერ იყო გამოფენილი თამაშების დროს და ის არასდროს ჩათვლილა ფაშისტურ სიმბოლიკად, რამეთუ მასზე გამოსახულია 1988, ანუ ფან-კლუბის დაარსების წელი.

ერთ რამეში კი მართალი ბრძანდებით, რომ ვიღაც ტვინგამორეცხილი ამ ბანერს იყენებს მე-2 მსოფლიო ომში დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების მემორიალთან აშკარად არამისაღები ჟესტით. „დინამო“ მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მიზანმიმართულ პროვოკაციას გუნდის წინააღმდეგ ძალზე მნიშვნელოვანი თამაშების წინ და მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ „ხალხის რჩეული“ ნაცვლად კლუბთან გვერდში დგომისა, მისი დაკნინებით ხართ დაკავებული.

თბილისის „დინამოსთვის“ შეურაცხმყოფელია მის სახელთან ნებისმიერი ფაშისტური და ნაცისტური სიმბოლიკის დაკავშირება და კლუბი ემიჯნება მათ ნებისმიერ გამოვლინებას“, — წერია „დინამოს“ განცხადებაში.

DINAMO TBILISI
1925

შავი ზღვის სანაპიროზე ექვსი ადამიანი გადაარჩინეს

წყალზე მაშველებმა გუშინ დილიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ექვსი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებაშია აღნიშნული.

უწყების ცნობით, სამაშველო ღონისძიებებში ჩართულია სპეციალური წყალზე სამაშველო ტექნიკა და მაშველი დრონი.

„შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე 3-დან 4 ბალამდე შტორმია. ზღვაში შესვლა კატეგორიულად აკრძალულია. გამოფენილია წითელი ალმები და მაშველები დამსვენებელებს აფრთხილებენ, რომ წყალში არ ჩავიდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოუწოდებს დამსვენებლებს, დაემორჩილონ მაშველების მითითებებს და დაიცვან უსაფრთხოების ნორმები; არ დატოვონ მცირეწლოვანი ბავშვები უმეთვალყურეოდ; არ ჩავიდნენ წყალში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ან ნაბახუსევზე; არ გასცდნენ უსაფრთხოების ტივტივებს“, — აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც ცურვა დასაშვები იქნება, გამოიფინება თეთრი ალმები.

რუსთავამდე მგზავრობა 30 თეთრით მოიმატებს

რუსთავი-თბილისის **მიმართულებით 11 მარშრუტიდან ექვსზე მგზავრობის ტარიფი 30 თეთრით გაიზარდა და 1,80 ლარი გახდა.**

1,50 ლარის ნაცვლად ახალი ტარიფის გადახდა მგზავრებს მეტროსადგურ „დიდუბის“, რკინიგზის სადგურის, მეტროსადგურ „ვარკეთილისა“ და სპორტის სასახლის მიმართულებით მგზავრობისას უწევთ.

ძველი ტარიფი დარჩა რუსთავი-ძველი ბაზარი-მოსკოვის გამზირის; რუსთავი-ძველი ბაზარი-„ისთ ფოინთის“; რუსთავი-შარტავას გამზირი-ლილოს; რუსთავი-მეტალურგიული ქარხანა-გლდანის; რუსთავი-მე-19 მკ/რ-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებებზე.

სანთელი

თამაზ მიქაძე

გარდაიცვალა ცნობილი ბიზნესმენი-მეწარმე, ღირსეული მოქალაქე და ოჯახის თავკაცი, კომპანია „ტ.მ.კომპანის“ დამაარსებელი, ქართული ღვინის სახელის მსოფლიოში ერთ-ერთი გამცნობი თამაზ მიქაძე. იგი დაიბადა 1940 წელს, წლების განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა მისიაში ალჟირსა და სირიაში. მისი შრომისნაყოფიერებისა და პროფესიონალიზმის შედეგია ქართული ღვინის პოპულარობა აშშ-სა და იაპონიაში, ქაშერული ღვინოების გატანა-გავრცელება ისრაელში. მან ურთულეს წლებში თავისი კომუნიკაბელურობითა და ავტორიტეტით შეძლო დარგის განვითარება და აღორძინება.

უერთგულესი მეგობარი, ოჯახიშვილი, პროფესიონალი, ქველმოქმედი (უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი თამაზის ხელშეწყობით საზოგადო მოღვაწემ თ. პეტრიაშვილმა გამოსცა ქვეყნის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე წიგნი), საზოგადო მოღვაწე — ასეთად დარჩება თამაზ მიქაძე მეგობართა და ახლობელთა ხსოვნაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები

მეუღლე რუსუდან ქემოკლიძე-ონიანი, შვილი გოგლა ონიანი, რძალი თეა სიხარულიძე, შვილიშვილები ნინა, მატრონა ონიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ გრიგოლის ძე ონიანი

პანაშვიდი: 20, 21 VIII, 16 სთ; გამოსვენება: 22 VIII, 15 სთ.
მისამართი: ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) ქუჩა №17.

თემურ ონიანი ოჯახით იუწყება ძმის

თენგიზ ონიანის

გარდაცვალებას.

ალალ იყოს!.. თენგიზ ონიანი



კიდევ ერთი კარგი ქართველი წავიდა: კარგი ვაჟკაცი, ქვეყნის კარგი მოჭირნახულე... იცხოვრა უღალატოდ, უბოროტოდ, რომ იტყვიან — კაცურად, მოყვასის მოყვარე და ხელის გამმართავი, უსამართლობასთან და უნამუსობასთან შეურიგებლად მებრძოლი **თენგიზ ონიანი**. მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის ვაჟი ჰყავდა დაკარგული, არ გაბოროტებულა, ბოღმა არ ჩაუხვევია, ისევ ისეთი ალალი და კეთილი დარჩა. მეგობრები უხვად ჰყავდა და საქართველოს ყველა კუთხეში იხსენებენ მისგან დათესილ სიკეთეს.

ღირსეულად აგრძელებდა მშობლების — ცნობილი პედაგოგისა და სკოლის დირექტორის გრიგოლ ონიანისა და ექიმ თამარ გელოვანის გზას და იმედი გვაქვს, ახლა უკვე მისი ვაჟი გოგლა გააგრძელებს მის გზას.

ალალ იყოს მისთვის ნათელში ყოფნა! დღეს მას 78 წელი შეუსრულდებოდა.

მეგობრების სახელით:

დაზი — გივი მაზიაშვილი, ომარ გოგიაშვილი, ომარ ჯანჯალია, ალეკო ასლანიშვილი, თეიმურაზ ონიანი, რამაზ გოგლიძე, სოსო ტორიაშვილი, კობა ქადაგიძე, გრიშა ონიანი, გოგი ონიანი, გურამ გუნავა, ენვერ ნიჟარაძე, მირზა ლობჟანიძე, ემზარ დეკანოიძე, მერაბ ბერბერაშვილი, მერაბ ჭკუასელი, ომარ პაიჭაძე, თემურ ბაბლუანი, ივერ ჭელიძე, გივი ონიანი, მურთაზ ონიანი, რეზო ნემსაძე.

დიმიტრი ქუმსიშვილის შვილს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა

ეკონომიკის **ყოფილი მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის შვილს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა. როგორც საქართველოს პირველ არხს შსს-ში განუცხადეს, ის ადმინისტრაციული წესით ძალადობის ბრალდებით დააკავეს.**

„საპატრულო პოლიციაში შემოვიდა შეტყობინება, რომ პეტრიაშვილის ქუჩაზე რესტორან „ღვინის ქარხანა გალერიაში“ მოხდა ჩხუბი. ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ სამართალდამცველები. გაირკვა, რომ 1994 წელს დაბადებულ ვ.ხ.-ს და 1996 წელს დაბადებულ ი.ქ.-ს კერძო დაცვის თანამშრომლებთან მოუვიდათ შელაპარაკება, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ვ.ხ.-მ და ი.ქ.-მ წინააღმდეგობა გაუწიეს. სამართალდამცველების არაერთი მოწოდების მიუხედავად, არ დაემორჩილნენ მათ კანონიერ მოთხოვნას, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა ორივე მათგანი ადმინისტრაციული წესით დააკავეს.

უწყების ცნობით, სამართალდამცველების მიერ დაკავებული ორივე ახალგაზრდა მოსამართლემ სამართალდამრღვევად ცნო და ადმინისტრაციული სახდელი შეუფარდა.

ფეხით ვილნიუსიდან თბილისში

ლიეტუვაში დაბადებული 23 წლის ქართული წარმოშობის სტუდენტი ნიკო ამირგულაშვილი ვილნიუსიდან საქართველოში ფეხით ჩამოვიდა. ნიკო ამირგულაშვილმა წარმატებით განახორციელა პროექტი სახელად „ხიდები ლიეტუვასა და საქართველოს შორის“, რომლის ფარგლებშიც მან ფეხით დაფარა დაახლოებით 2.075 კილომეტრი, რაც მოანდომა 69 დღე და 470 საათი. ნიკო პოლონეთისა და უკრაინის გავლით საქართველოში ბათუმიდან შემოვიდა, გააგრძელა გზა აჭარა-მთიანეთის, ახალციხის, ახალქალაქის და წალკის მუნიციპალიტეტების გავლით და შემოვიდა თბილისში. მან ფეხით მოგზაურობა ორ ქვეყანას შორის მეგობრობის ნიშნად გადაწყვიტა.

ნიკომ მოგზაურობა ლიეტუვაში საქართველოს საელჩოდან დაიწყო და საქართველოში ლიეტუვის საელჩოში დაამთავრა. მის მოგზაურობას დიდი ინტერესით აშუქებდა იმ ქვეყნების პრესა, რომლებიც მან გაიარა.

მოგზაურობის წინ ნიკო ვილნიუსის მერმა მიიღო. რიმისგიუს შამაშიუსთან საუბარში სტუდენტმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ლიეტუვის ურთიერთობის გაღრმავებას და განმტკიცებას. საუბრის დასასრულს ვილნიუსის მერმა წერილი გამოატანა თბილისის მერისთვის გადასაცემად.

ნიკო ამირგულაშვილი: — **„მე ლაშქრობით ვარ გატაცებული, დათვალიერებული მაქვს ესპანეთის ულამაზესი ადგილები, ამიტომ მოგზაურობის არ შემშინებია, თუმცა გამოსვლამდე ორი თვით ადრე მწვრთნელის მეთვალყურეობით დავიწყე ვარჯიში ფიზიკურ გამძლეობაზე“.**

ბათუმში, არდაგანის ტბაში თევზები დაიხოცა

არდაგანის ტბაში გუშინ „ბათუმის წყლის“ თანამშრომლებმა დახოცილი თევზები აღმოაჩინეს. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ტბა უკვე გაწმენდილია, უწყება კი ცდილობს, დაადგინოს, რა გახდა თევზების დახოცვის მიზეზი.

დახოცილი თევზების ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა.

„ბათუმის წყლის“ გენერალური დირექტორი მარიკა გვიანიძე ამბობს, რომ გადაეგზავნება ინფორმაცია გარემოს დაცვის ინსპექციას. ფაქტზე კი მოკვლევა თავადაც დაიწყეს. „წყლის სინჯები უკვე აღებულია, ვცდილობთ, დავადგინოთ, რა გახდა თევზების დახოცვის მიზეზი. ხომ არ მოხდა ზღვიდან მათი შემოდინება ან ხომ არ არის ტბაში, ღია არხების მეშვეობით მოხვედრილი ტოქსიკური ნივთიერება“, — გვითხრა უწყების ხელმძღვანელმა. არდაგანის ტბაში რამდენჯერმე დაბინძურდა წყალი. მათ შორის უკანასკნელი შემთხვევა ზაფხულში მოხდა, რომელიც შვედეთის ელჩის ობიექტივში და შემდეგ ტვიტერზეც აღმოჩნდა.

უწყებაში ამბობენ, რომ მაშინ ტბაში ნავთობი მოხვდა და გარემოს დაცვის ინსპექცია სწავლობს საკითხს. ამ ეტაპზე უცნობია, ვინ ჩაღვარა ნავთობი ტბაში, „ბათუმის წყალში“ ამ ინფორმაციას არ ფლობენ.

ქობულეთში თხილის ბაღებში დათვი გამოჩნდა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში, მოსახლეობის კუთვნილ თხილის ბაღებში დათვი გამოჩნდა. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ცხოველმა მოსავლის ნაწილი გაანადგურა. ადგილობრივების ინფორმაციით, ეს მტაცებლის სოფელში შემოსვლის პირველი შემთხვევა არ არის.

ჟურნალ „ოლეს“ სპეციალური ნომერი

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2019 წლის Ⅲ — სპეციალური ნომერი. ჟურნალი მასპინძლობს გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“. თავის მხრივ, გაზეთმა „ლიტერატურულმა მესხეთმა“ აგვისტოს ნომერი დაუთმო „ოლეს“ ავტორთა შემოქმედებას.

ჟურნალი იხსნება გაცვლითი ნომრებისადმი მიძღვნილი მილოცვებით. მილოცვები ეკუთვნის კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეების ხელმძღვანელებს, ჟურნალისა და გაზეთის სულისჩამდგმელებს: **ირაკლი ქადაგიშვილს, ბესიკ ამირანაშვილს, შოთა ნარეკლიშვილს, როსტომ მაგრაქველიძეს, ავთანდილ ბერიძეს, ფარნა რაინას, აკაკი დაუშვილს.**



ჟურნალში რუბრიკით „წინაპართა სიბრძნე“ იბეჭდება სახალხო მთქმელის **კიმი ზედგინიძის** თქმულება „მელა, გლეხი და გველი“.

რუბრიკით „გვახსოვდეს ჩვენი ისტორია“ გამოქვეყნებულია **კუკური მეტრეველის** ვრცელი წერილი „ისტორიული მესხეთის საკითხისათვის“.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება **ავთანდილ ბერიძის, მარიზა ჯიქიას, გივი ნემსაძის, კობა მოდებაძის, ავთანდილ ივანიძის, ვლადიმერ ველიჯანაშვილის** ლექსები და **დურმიშხან ბერიძის** მოთხრობა „რა კარგი ხარ, ჩიხორიშო!“

„თარგმანის“ რუბრიკით მკითხველი გაეცნობა **პერსი ბიში შელისა** და **ემილი დიკინსონის** ლექსებს. მთარგმნელი **ციური მესხიშვილი**.

წერილების განყოფილებაში იბეჭდება **ნატო ყრუაშვილის, იოსებ გიქოშვილის, უჩა ბლუაშვილისა** და **ცირი ლაფაჩის** წერილები.

ჟურნალში გაეცნობით მესხური ფოლკლორის ნიმუშებს. მთქმელები — **ბასილ გოგოლაძე, ნენე ყირიმელაშვილი, ოსიკო გიქოშვილი, გიორგი (გოგი) აბულაძე** და **სიმონ კაჭკაჭიშვილი.**

ჟურნალში გამოქვეყნებულია **სოფიო ჭელიძის** ილუსტრაციები.

გაცვლითი ნომრების მიზანია საქართველოს ორ მხარეს შორის ლიტერატურული და კულტურული დაახლოება.

სექტემბრის თვეში იგეგმება ჟურნალ „ოლესა“ და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ აღნიშნული ნომრების ერთობლივი წარდგინება თბილისში.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა ნარეკლიშვილი**) მხარდაჭერით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 22 აგვისტოს

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9232; ევრო - 3.2395;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5561;
100 რუბლი - 4.4227; თურქული ლირა - 0.5265;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7194;
1000 სომხური დრამი - 6.1476.

ამინდი 20 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +35
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +35
თბილისი: ღამე +19, დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge